საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 დეკემბერი, 2013 წელი.

№233 (7361)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„მიადექი დამზარალებელს, ადინე ცხვირიდან ძმარი და ასე აღასრულე მართლმსაჯულება“ ③

იყო სიბნელე და უკუნი, შენ დაუკა „სულიკო“ და „შალაყო“ ⑤

სამართლიანობის აღდგენაზე მთავრობამ უარი თქვა ④

გაიხარე ნამებულო, უკვე ევროქართველო!

როგორ დაკარგა ევროკავშირმა უკრაინა ⑧

⑥ რას ერჩოდნენ საქართველოს?

ყოფილი მოსამართლე კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტს მოითხოვს! ⑦

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

პოლიტიკური დიალოგი უნდა გაძლიერდეს

პოლიტიკური დიალოგი მხარეებს შორის ყველა იმ სფეროში, რაც საერთო ინტერესს წარმოადგენს, მათ შორის საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე და შიდა რეფორმებზე, შემდგომში უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს. ამის შესახებ ნათქვამია ევროკავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ასოცირების შეთანხმების პარაფირებული ტექსტის მეორე თავში, რომელიც პოლიტიკურ დიალოგს ეხება.

აქვე აღნიშნულია, რომ პოლიტიკური დიალოგი გაზრდის პოლიტიკური თანამშრომლობის ეფექტურობას და ხელს შეუწყობს დაახლოებას საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე.

პოლიტიკური დიალოგის მიზნებია: გააღრმავოს პოლიტიკური ასოცირება, გაზარდოს ეფექტურობა და დაახლოება პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში; ხელი შეუწყოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, როგორც ეს ჩაწერილია გაეროს წესდებაში და 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტში; ხელი შეუწყოს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრას; ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ეფექტური, მრავალმხრივი თანამშრომლობის მეშვეობით; გააძლიეროს თანამშრომლობა და დიალოგი მხარეებს შორის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და კრიზისული სიტუაციების მართვის თაობაზე; გააძლიეროს თანამშრომლობა მასობრივი იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში; გააძლიეროს დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა, კანონის უზენაესობა და კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, მათ შორის მედიის თავისუფლება და უმცირესობების უფლებები და ხელი შეუწყოს შიდა რეფორმების განმტკიცებას; უზრუნველყოს საქართველოსა და ევროკავშირის მჭიდრო პოლიტიკური ასოცირების უპირატესობებით საქართველოს ყველა მოქალაქე მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

2014 წელს სახელმწიფო 600 მილიონ შიდა ვალს აიღებს

ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისივე თქმით, თავდაპირველად გათვალისწინებული იყო შიდა ბაზარზე 400 მილიონი ლარის აღება, თუმცა, 2014 წლის ბიუჯეტი 600 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვებას ითვალისწინებს.

როგორც ფინანსთა მინისტრი განმარტავს, აღნიშნული თანხიდან 400 მილიონი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის საჭიროებებს მოხმარდება, ხოლო 200 მილიონი ლარი განთავსდება კომერციული ბანკების დეპოზიტებზე, რათა კომერციულმა ბანკებმა გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების გაცემა შეძლონ.

ნოდარ ხადური განმარტავს, რომ ფინანსთა სამინისტროს, ასევე ეკონომიკის სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს საკმაოდ საინტერესო გათვლები აქვთ და 200 მილიონი ლარით საკრედიტო რესურსის გაზრდა, ქართულ ეკონომიკას ნამდვილად წაადგება.

რუსეთი განა შეელევა ამიერკავკასიას?

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსულ-სომხურ რეგიონალურ ფორუმზე განაცხადა, რომ რუსეთის პოზიციები რეგიონში გაძლიერდება რეგიონის ყველა ქვეყანასთან, მათ შორის სომხეთთან, კეთილ ურთიერთობებზე დაყრდნობით.

— რაც შეეხება ამიერკავკასიას, რუსეთი აქედან წასვლას არასოდეს აპირებდა. პირიქით, ჩვენ ვაპირებთ ჩვენი პოზიციების გაძლიერებას“, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

შს მინისტრი ლატვიის ელჩს შეხვდა

საძართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ლატვიის ელჩს ელიტა გაველეს შეხვდა. შსს-ს ინფორმაციით, მინისტრმა ლატვიის ელჩს 21 ნოემბერს, რიგაში სუპერმარკეტის სახურავის ჩამონგრევის შედეგად 51 ადამიანის გარდაცვალებისა და დაშავებულების გამო მიუსამძიმრა.

ელჩმა ალექსანდრე ჭიკაიძეს მინისტრად დანიშვნა მიულოცა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან წარმატებულ თანამშრომლობას ხაზი გაუსვა. მხარეებმა განიხილეს საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები, არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები.

მინისტრმა ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელოვნურად აღმართული ბარიერების შესახებ ისაუბრა და დასძინა, რომ ეს გარემოება აუარესებს როგორც ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ლატვიისა და საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

ინტერპრესი

◎ „სკაიპით მონათლულნი“

ქურდული სამყარო არ ისვენებს!..

ნაცვლიშვილის კადრებს სასჯელაღსრულების სისტემას ატოვებინებენ

სასჯელაღსრულების სამინისტროში რამდენიმე საკადრო ცვლილება განხორციელდა. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას გიორგი კიკნაძე დაიკავებს, რომელსაც მანამდე გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა. კიკნაძე კი ზვიად ლათიბაშვილმა შეცვალა. ამასთან უკვე ცნობილია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ახალი მოადგილის ვინაობა — სოფო ჯაფარიძეს ეკა ქრისტესაშვილი შეცვლის. სოზარ სუბარმა მისი მოადგილის პოსტზე ქრისტესაშვილის კანდიდატურა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს უკვე წარუდგინა.

მინისტრის განცხადებით, ქრისტესაშვილი ადამიანის უფლებების დამცველია და ამ კუთხით ბოსნია-ჰერცოგოვინაში მუშაობდა.

გარდა ამისა, შეიცვალა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსიც. მიხეილ ღურწკაია დიმიტრი დარბაისელმა ჩაანაცვლა. რაც შეეხება მიხეილ ღურწკაიას, სოზარ სუბარის განმარტებით, ჯერჯერობით უცნობია, რა თანამდებობას დაიკავებს იგი. მინისტრი აცხადებს, რომ მისი შეცვლა რამე კონკრეტულ მიზეზს არ უკავშირდება და ეს ჩვეულებრივი პროცესია. ღურწკაია აღნიშნულ თანამდებობაზე დიმიტრი დარბაისელმა შეცვალა.

პოლიციის პოლკოვნიკი დიმიტრი დარბაისელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნამდე შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თბილისის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა. დიმიტრი დარბაისელმა, რომელიც წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდა, 2008 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრო პირადი გადაწყვეტილებით დატოვა და საქმიანობა კერძო სექტორში გაგრძელა. სამართალდამცავ სისტემას ის 2012 წელს დაუბრუნდა.

რაც შეეხება მიხეილ ღურწკაიას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსად დანიშვნამდე, ის მთავარ პროკურატურაში პროკურორად მუშაობდა. კულუარული ინფორმაციით, ღურწკაია სასჯელაღსრულების სამინისტროში მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის რეკომენდაციით დანიშნეს. ნაცვლიშვილი კი, მთავრობაში მაშინ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად ითვლებოდა.

თავად ლაშა ნაცვლიშვილი ღურწკაიასთან დაკავშირებით კომენტარს ამ დრომდე არ აკეთებს, თუმცა, ფაქტია, მის კადრებს თანამდებობის დატოვება მოუწიათ როგორც გენერალურ პროკურატურაში, ასევე რაიონულ პროკურატურაში. ამ დრომდე თანამდებობის დატოვების ოფიციალურ ვერსიაზე არ საუბრობს თავად მიხეილ ღურწკაია.

არაოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ღურწკაიას განთავისუფლება ქსნის მე-15 დაწესებულებაში სკაიპით „კანონიერ ქურდად“ კუკური გურგენიძის მონათვლის ფაქტს უკავშირდება. ამავე ინფორმაციის თანახმად, გურგენიძის ნათლობის „ცერემონია“ 17 ნოემბერს, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს მოხდა. ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში კი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების მართვის სამმართველოს უფროსი ზურაბ ვარდიძე დააკავეს. ერთ-ერთი ვერსიით, ვარდიძის დაკავებაც ქურდის „ნათლობას“ უკავშირდებოდა.

როგორც დაკავებულის ადვოკატი მამუკა ჭაბაშვილი ამბობს, დაკავებული წაყენებულ ბრალს არ აღიარებს, თუმცა, ჯერჯერობით, დუმილის უფლებას იყენებს. For.ge-სთან საუბრისას ის ადასტურებს, რომ ვარდიძეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი.

„არასრულწლოვანთა დაწესებულებაში დაძაბულობა იყო. ვინაიდან სიტუაციას ვერ აგვარებდნენ, მან საპატიმროს დირექტორს მისცა მითითება, სამი არასრულწლოვანი გადაეყვანათ მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში და შეეხვედრებინათ „კანონიერი ქურდებისთვის“, ფოცხვერიასა და ჯაფარიძისთვის. ამ გზით განმუხტეს არასრულწლოვანთა დაწესებულებაში სიტუაცია.

ეს მოხდა ივლისსა და აგვისტოში, როგორც ვიცი, იქ მართლაც ქაოსი იყო, სკოლაში არ ტარდებოდა გაკვეთილები. პატიმრები მასწავლებლებს აბუჩად იგდებდნენ, დირექტორს გადაუყირავეს მაგიდა, ბოლოს საქმე ბუნტამდე იყო მისული... არასრულწლოვნების გადაყვანით დაირღვა ადმინისტრაციული კოდექსი, რადგან მათი სრულწლოვან პატიმრებთან კონტაქტი იკრძალება. ქურდული სამყაროთი არ უნდა მართო სისტემაო, ამას ედავება მას პროკურორი“, — ამბობს ადვოკატი და აქვე დასძენს, რომ ეს ამბავი ვარდიძის დონეზე არ გადაწყდებოდა. როგორც ჭაბაშვილი ამბობს, ვარდიძე მიანიშნებს, რომ ამ საქმის უკან სამინისტროში არსებული შიდა დაპირისპირება დგას და ისიც ამას შეეწირა.

ჯერჯერობით, უცნობია დაკითხა თუ არა პროკურატურამ ის არასრულწლოვნები, რომლებიც ფოცხვერიასთან მიიყვანეს, ასევე უცნობია თავად ფოცხვერიას და ჯაფარიძის დაკითხვის ფაქტიც...

ცოტნე დგებუაძე

◎ მოსაზრება

„ზემოთ გადაწყდა“

ჩვენ ყველამ ერთად გამოვიარეთ განვლილი 9 წელი, განვლილმა პერიოდმა ნათლად დაგვანახა რამდენად შეუწყო ხელი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას იმ „წარმატებებმა“, რასაც ვარდების ხელისუფლება ხშირად, სხვადასხვა სახით, შეფუთულს გვაწვდიდა (რაშიც მართლაც შეუდარებელნი არიან).



დღეს ქვეყანამ გამოაცხადა თვითმმართველობის რეფორმა, რაც ჩემი აზრით, ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა, როგორც ხელისუფლების ასევე სამოქალაქო საზოგადებისათვის. თვითმმართველობის ახალი კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი, თითქოს, ქვეყნის მხარეებად დაყოფა სეპარატიზმის წამახალისებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს, სუსტ არგუმენტად მიმაჩნია.

რაც შეეხება სხვა არგუმენტებს, მუნიციპალიტეტების დარაიონება, რეფორმის ფინანსური უზრუნველყოფა და ა.შ. ჩემი აზრით, რთული თემებია და იმედი მაქვს, პარლამენტში კიდევ გაიმართება მსჯელობა ამ საკითხებზე, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლებსაც მიეცემათ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო საზოგადოების მზაობას ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით. მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაცილებით დიდი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი მოქალაქეთა მენტალობის შესაცვლელად და ამაში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე მუნიციპალურმა სტრუქტურებმა რეალურად უნდა შეძლონ გადაწყვეტილების მიღება და არ უნდა იყვნენ მთლიანად ცენტრზე დამოკიდებული.

ეს პრობლემა რომ დგას, ამის ნათელი მაგალითია გორში სტალინის ძეგლის აღება-დადგმის საკითხი. ცენტრში გადაწყდა იმ ფორმით (ჩემი აზრით, მახინჯი) ძეგლის აღება, შემდგომ ასევე ცენტრში გადაწყდა მისი დადგმა (ასევე ცუდ ადგილას) და ბოლოს, ისევ ცენტრში გადაწყდა სამუშაოების შეჩერება ადგილის მიზანშეუწონლობის გამო. არადა, ამ საკითხის მოგვარება გაცილებით ოპტიმალურად, ნაკლები დანახარჯებით ადგილზე უკეთ შეიძლებოდა.

საკითხებზე ამგვარად გადაწყვეტილებების მიღებაზე, ჩემი აზრით, ცენტრალური ხელისუფლების პოზიციაა უპირატესი და ამიტომ, პირველ რიგში, იქიდან უნდა მომდინარეობდეს ნება.

თუ ხელისუფლება რეალურად არ დეცენტრალიზდება და ისევ გაგრძელდება რეგიონალური და მუნიციპალური საკითხების „ზემოთ გადაწყდას“ პრინციპით მიდგომა, ეს რეფორმაც ქაღალდზე დარჩება და ფორმალურ ხასიათს მიიღებს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჯერად მთავრობაში მიმდინარეობს რწმუნებულ-გუბერნატორების საკადრო საკითხებზე მსჯელობა, რაშიც მონაწილეობას არ იღებენ ამა თუ იმ მხარის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფები. უფრო მეტიც, ჩვენთვის ცნობილი არ არის, რა კრიტერიუმებით არჩევენ იმ კადრებს, რომლებიც, როგორც ლიდერები, უშუალოდ იქნებიან ჩართული თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებაში და რომელთაც ჩვენთან ერთად უნდა მოუწიოთ იმ წინააღმდეგობის დაძლევა, რომელზეც თვითმმართველობის ახალ კანონპროექტზე საუბრისას აღვნიშნეთ. აქედან გამომდინარე, იქმნება მეტი ალბათობა იმისა, რომ მთავრობის გადაწყვეტილება ამ საკითხში ოპტიმალური ვერ იყოს, რაც საბოლოო ჯამში რეფორმის წარუმატებლობის ნიშანი შეიძლება აღმოჩნდეს.

ჩვენი აზრით, რწმუნებულ-გუბერნატორების შერჩევის საკითხი უფრო გახსნილი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. უნდა მიეცეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფებს ამა თუ იმ კანდიდატზე აზრის გამოთქმის საშუალება, საკადრო საკითხებზე წინადადებების მიწოდების შესაძლებლობა (რაც არ გულისხმობს მათ სავალდებულო გათვალისწინებას) და ა.შ.

ჩვენ, ყველა ერთად, ვალდებულნი ვართ, ვისაუბროთ, ვიკამათოთ, რათა საბოლოო შედეგი უფრო ნაყოფიერი იყოს.

თამაზ მაჭაშვილი

„მიადექი დამზარალებელს, ადინე ცხვირიდან ძმარი და ასე აღასრულე მართლმსაჯულება“

„ვინც დააზარალა მიადექი იმას, ადინე ცხვირიდან ძმარი და ასე აღასრულე მართლმსაჯულება“, — აცხადებს სამართლის საკითხებში ექსპერტი მინდია უგრეხელიძე, რომლის განცხადებით, პროკურატურაში ძველი კადრები აღარ უნდა დარჩნენ, რადგან მათ სახელი გატეხილი აქვთ. მინდია უგრეხელიძე უწყებაში გასატარებელ რეფორმებს შორის უმთავრესად ახალი და კვალიფიციური კადრების მიღებას ასახელებს.

— მთავარმა პროკურორმა თითქმის ყველა რეგიონული პროკურორი გაანთავისუფლა, მათ შორის ის პროკურორები, რომლებიც გახმაურებულ საქმეებზე მუშაობენ. ბატონო მინდია, ეს საკადრო გადაადგილება არის იმის წინაპირობა, რომ პროკურატურამ შეძლოს მოიპოვოს დაზარალებულთა ნდობა?

— მე რომ მკითხოს კაცმა, გაძლიერებულ ტრენინგებს და კურსებს ჩავატარებდი, განსაკუთრებით სისხლის სამართალში, რათა ახალგაზრდა ნიჭიერი, ახალი შემართებით მოსული ადამიანები დროზე ჩავრთოთ ამ პროცესში. თუ გავაერთიანებთ ძველ, პატიოსან და გამოცდილ კადრებს იმათთან, ვინც, მართალია ახალგაზრდები არიან, მაგრამ ძალიან მონდომებული, ძალიან ადვილად შეივსება ეს ხარვეზი.

ავტორიტარული მართვის პირობებში კვალიფიციური გამოძიების ჩატარების საჭიროება მოისპო. პროკურატურაში, უწინარესად, კვალიფიციური კადრები უნდა მიიღონ. ეს რთული საქმეა და ამან მავანნი გადაიყოლა. ამ უწყებაში ასეთი ვითარება შეიქმნა - საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო. ძველი კადრები აღარ გამოდგებიან, რადგან მათ სახელი გატეხილი აქვთ. ახალი კადრების მოზიდვა გამოძიების დარგში ძალიან ჭირს. ამიტომ, ეს უაღრესად სპეციფიური საქმეა. თუმცა, ახალი პროკურორების მიღება, თანამედროვე ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, აუცილებელია.

ის, რომ საერთოდ არავინ არ გამოიყენონ ძველი კადრებიდან, შეუძლებელია. მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ კადრების გამოყენებას, თუ ძალიან მოხუცი არა, კიდევ წინა კადრი სჯობს. ცოცხებს იყენებდნენ არადანიშნულებისამებრ, ამდენი პოლიტიკური პატიმარი იყო და ეს ყველაფერი ხდებოდა მათი თანამონაწილეობით. ღრმად მწამს, რომ წინა პროკურორები გაცილებით უფრო წესიერები და პატიოსნები იყვნენ, ვიდრე „ნაციონალი პროკურორები“.

— ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა თქვა, რომ რთულია ერთი ხელის მოსმით ყველა პროკურორის განთავისუფლება, ვინაიდან ამის რესურსი არ არსებობსო...

— თუ დავიწყებთ კადრების მომზადებას და ეს საკითხი უკვე დაწყებულიც უნდა იყოს, რომ გამოძიების წაყვანა და თანამედროვე წესები ვასწავლოთ, ევროპული სტანდარტების დონეზე უნდა მოხდეს მათი მომზადება, ამაში არაფერი შეუძლებელი არაა. როდესაც უცხოეთში კოდექსების ექსპერტიზაზე წავედი, იქ ჩემთან ერთად იყო ჯემალ გახოკიძე და ეს ჩემთვის იყო აღმოჩენა. მე არ მეგონა, რომ ჩვენთან უშიშროების მინისტრი შეიძლებოდა ასეთი ნიჭიერი ყოფილიყო. არის ხალხი, მაგრამ დაჯდომა და შესწავლა უნდა ამ საკითხს. ამ საკითხზე რომ ვმუშაობდე, ნახევარ საათში 10 კაცს უცებ მოვძებნი.

იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ მე და ახალ გენერალურ პროკურორს საერთო ხედვა გვაქვსო. მე ამან ძალიან გამახარა, მაგრამ, როდესაც მას უკიჟინებენ, რაღაცა შეცდომები მოგვიდაო, მომეჩვენა, რომ ეს არის სერიოზული კაცი, რომელიც ამ შეცდომასაც კი გამოიყენებს თავის და საქმის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, მას პირდად არ ვიცნობ.



— რა იყო ყოფილი პროკურორის ყველაზე დიდი შეცდომა? მას შეცდომად უთვლიან, იმას, რომ მან ვერ შეძლო კადრების მართვა...

— მე ძალიან დიდ პატივს ვცემ კბილაშვილს, როგორც მცოდნე იურისტს და კარგ ადვოკატს, ადამიანს, რომელიც არაა გამომძალველი. სტრასბურგშიც იყო მისი ნაწარმოები საქმეები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რთული ამოცანა. მის შეცდომად მიმაჩნია და ვსაყვედურობ იმას, რომ პროკურატურა ძალიან სპეციფიკური ინსტიტუციაა, ხოლო გამოძიება ძალიან დიდი ხელოვნებაა, ამიტომ თუ შენ არ ხარ გაჟღენთილი და გაჯერებული ამით, მაშინ არ უნდა მოკიდო ხელი ამ საქმეს.

მიმაჩნია, რომ ჩვენ თვითონ ბატონი კბილაშვილიც დავაზარალეთ იმით, რომ პროკურორობა დავაბრალეთ და საქმეც შევაფერხეთ. ხალხსაც გაუჩნდა ნდობის ბზარი.

ამ საქმის კიდევ ერთი ნაკლი გახლავთ ის, რომ საზოგადოების ის ნაწილი მაინც, რომელსაც რაღაცა ეკითხება, ჩართული უნდა ყოფილიყო პროცესში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საზოგადოებას ყველაფერში ვერც ავყვებით და ვერც გავყვებით. მაგალითად, საზოგადოებას რომ ჰკითხოთ, სიკვდილით დასჯას მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე მის აკრძალვას, მაგრამ ეს ისეთი საკითხია, რომელიც ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა უნდა გადაწყვიტოს.

— გასულ კვირას თეა წულუკიანის განცხადებას მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა საზოგადოებაში, გარკვეულმა ჯგუფმა მისი გადადგომა მოითხოვა. როდესაც სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსული ხელისუფლება დღეს ამბობს, რომ ბიუჯეტში არაა შესაბამისი თანხები და ამ მიზეზით კომისია არ შეიქმნებაო, ეს სწორი გადაწტვეტილებაა?

— იმ ადამიანებს, რომელთაც ის ელაპარაკებოდა, მაგალითად, კოტე კუბლაშვილს, არ შეიძლება ელაპარაკო ნორმალური ენით. მე პირდაპირ ვაცხადებ და მიჩივლონ თუ უნდათ, დანაშაული იყო ის, რაც მათ ჩაიდინეს. 200-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი რომ გეყოლება და ყველაფერი ეს სასამართლოს მეშვეობით ხდება, რაზეა ლაპარაკი?! ამიტომ, ცხადია, რომ ქალბატონი თეა ამ საკითხებში გაცილებით უფრო გაკაპასებულია, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო.

— კოტე კუბლაშვილიც თვლის, რომ ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა უარყოფითად იმოქმედებს სასამართლო რეფორმებზე...

— ადამიანები, რომლებიც აშკარად იყვნენ და სცნო კიდევაც ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა პოლიტიკურ პატიმრებად, მაშინ ეს რას ნიშნავს? კუბლაშვილს ისეთი განცხადებები აქვს გაკეთებული, რომ მარტო მისი ერთი განცხადება იქნებოდა საკმარისი ცივილიზებულ სამყაროში იმისათვის, რომ მოეშორებინათ იქიდან. როცა ის აჰყვა ჩვენს პრეზიდენტს ნულოვანი ტოლერანტობის საკითხებში და განაცხადა, რომ მე მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის მომხრე ვარო... რას ჰქვია სიმკაცრის მომხრე ხარ, შენ რა იცი წინასწარ, მკაცრი უნდა იყოს თუ ლმობიერი სასამართლო?! ეს ხომ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზეა დამოკიდებული. ასე რომ, ეს კაცი საერთოდ არ უნდა იყოს იქ.

სამართლიანობა უნდა აღსდგეს! მარტო ეკონომიკური და ფინანსური მოსაზრებებით მაგაზე უარის თქმა, ან დიდი ხნით გადავადება არ შეიძლება! ჯერ ერთი, შევპირდით ამ ადამიანებს და უნდა შევუსრულოთ დანაპირები და მეორე, არ არს მშვიდობა სამართლიანობის გარეშე. როგორც კი ეს არ მოხდება, მაშინ დაიწყება ისეთი პროცესები, რომელიც სავალალო გახდება ნებისმიერი ხელისუფლებისთვის. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება სათანადო მომზადება.

მაგალითად, როდესაც ესტონეთს ცუდი მდგომარეობა ჰქონდა ციხეებში, პატიმრებმა უთხრეს — ბატონო! ჩვენ არ გვაინტერესებს, შენ ფული გაქვს თუ არა, მთავარია, ჩვენ არ ვიყოთ ციხეში ცუდ მდგომარეობაშიო. ამიტომ, ისესხეს ფული და ნასესხები ფულით პრივილეგიად მიიჩნიეს ამ საკითხის გამოსწორება. მე მიმაჩნია, რომ სამართლიანობის აღდგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომელსაც თუ დროზე არ მიეხედა, ჩვენ დავკარგავთ უფლებას, ვიწოდებოდეთ სამართლებრივ სახელმწიფოდ, რაც გვიწერია კონსტიტუციაში.

— როგორ უნდა ანაზღაურდეს ზარალი ისე, რომ არ დაზარალდეს ქვეყნის ბიუჯეტი?

— მე არ ვიცი, როგორ უნდა იშოვო ფული და გაისტუმრო ეს ხალხი. მაგრამ ყველაზე სწორი გზა არის ის, რომ, ვინც ამ ფულს იტაცებდა და ითვისებდა, იმისგან დამოუკიდებლად, რას გიკარნახებს შორეული ქვეყანა, უნდა ჩასვა ციხეში და აიძულო, რომ დაყაროს ის ყველაფერი, რაც ხალხისთვის აქვს წართმეული და მითვისებული და იმ ფულით გაისტუმრო ვალი. მართლაც, ბევრ შემთხვევაში, კეთილსინდისიერი შემძენის ხელშია ეს ქონება, მაგრამ, ვინც დაზარალდა, იმას ეს არ აინტერესებს. რატომ არ მიადგები იმას, ვინც დააზარალა? რა, არ ვიცით? ძნელი მისაგნებია თუ რა? მიადექი იმას, ვინც დააზარალა, ადინე ძმარი ცხვირიდან და ასე აღასრულე მართლმსაჯულება. არ შეიძლება, ერთდროულად უსმინო დასავლეთსაც და ჩრდილოეთსაც. უნდა უსმინო საკუთარი სინდისის ხმას და ხალხის მოწოდებას.

თამთა ქარჩავა

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მიშას დროს უცხოეთში „სასწავლებლად“ მიდიოდნენ, ახლა — ბიზნესში გაკოლაბორანტებულები.

● ყველამ თავის „უკრაინას“ და „მაიდანს“ მოუაროს.... ცერუკალიც აღარ მშველის, ისეთი გულის რევის შეგრძნება მაქვს. რაღაც ვერ ვიხსნე, 7 ნოემბრის და 26 მაისის დარბევების შემდეგ ასეთი ამბავი აეტეხოთ — შინ თუ გარეთ (ევრო-ამერიკაში)... ევრო-მაიდანზე განვითარებულ მოვლენებს ადრით იმას, რაც მიშას დაკვეთით თბილისის ცენტრალურ მოედანზე მოხდა?! ორმაგი სტანდარტი წალეკავს ევროპას, აშშ-სა და სრულიად სამყაროს.

● საზოგადოება ხელისუფლების სარკეა და თუ აღარ გვინდა წარსულში დაბრუნება, არ უნდა არსებობდეს ტაბუდადებული ტიპები, თუ თემები — გამოსახულება რომ არ დამახინჯდეს და ვინმეს არასწორი წარმოდგენა არ შეექმნას საკუთარ თავზე Чем больше зеркало, тем меньше человек.

● ლარის კურსი მყარადაა დოლარის მიმართ, მაგრამ აშკარად დავარდნილია ჯიგართან მიმართებაში.

● მე აღარ მინდა სამართლიანობის აღდგენა — განაცხადა თეა წულუკიანმა და სევდიანი თოლებით რესპუბლიკელებისკენ გაიხედა. მერე ჩიორა მოიკითხა. — სხვას თუ ვერავის, იმას მაინც გავპუტავო, ჩაილაპარაკა და ყავის დასალევად წავიდა.

● სანამ პარლამენტში ქოცები და ნაცები „მიშა მაგარიას“ ერთხმად არ დააგუგუნებენ, მანამდე ვერ ხვდებით რა ხდება, თუ მაშინ იტყვით „ამით ნაცები ვიწროებში უნდა შემოვიტყუოთო“?

● ევროკავშირი რომ კარგია, ყველამ ვიცით, მაგრამ რატომაა კარგი, ეგ თუ ვიცით? რას ელით პირველ რიგში ევროკავშირისგან?

● უსუფაშვილი ჯიგარია, არასდროს დაუმალავს, რომ კოალიციის მთავარი მიზანია — გადაარჩინოს ნაცმოძრაობა! დანარჩენები არიან აფერისტი ფუფლოვშიკები!

● ისეთი ოდიოზური ხალხი უცხადებს უკრაინას სოლიდარობას, თავმოყვარეობა და თვითშეფასება ქვედა ნიშნულზე ჩამომივიდა და თქვენი ნებართვით ჩემთვის, კუთხეში ჩუმად ვისოლიდარებ.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ალიან-ჩალიანი

შესაძლოა, უკრაინაში საქართველოდან ექსპორტი შემცირდეს

როგორც ნოდარ ხადურმა განაცხადა, მეგობარ და ერთ-ერთ სერიოზულ სავაჭრო ქვეყანაში მღელვარებამ, შესაძლოა, უკრაინაში ჩვენი ექსპორტის ოდნავ შემცირება გამოიწვიოს. თუმცა, ფინანსთა მინისტრის განმარტებით, საქართველოს ექსპორტი დივერსიფიცირებულია და სერიოზულ ზარალზე საუბარი არ შეიძლება იყოს.

ამასთან, ფინანსთა მინისტრმა ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან ხელმოწერამდე რუსეთის მხრიდან ემბარგოს შესაძლებლობაზე საუბრის კონტექსტში აღნიშნა, რომ ქართველმა ბიზნესმენებმა იციან, რუსული ბაზარი ძალიან კარგი და დიდია, თუმცა, რუსულ ბაზარზე შესვლა სხვა ბაზრებიდან გამოსვლის ხარჯზე არ მომხდარა. მისივე თქმით, ექსპორტი რუსეთის გარდა, გაზრდილია უკრაინაში, თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

„როდესაც რუსეთმა ემბარგო გამოუცხადა საქართველოს, მაშინ რუსეთი იყო საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი, დღეს რუსეთი აღარ არის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი საქართველოში. ექსპორტი დივერსიფიცირებული გვაქვს, მით უმეტეს, ჩვენ არ ვართ დამოკიდებული რუსულ ენერგომატარებლებზე, განსაკუთრებით გაზზე“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ინტერპრესი

◎ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ?!

„ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ აღდგენის პროცესი“ — ძალიან ხშირად სწორედ ამ სიტყვათა კომბინაციას იყენებენ, როდესაც ახალ ხელისუფლებასა და მის მიერ განსახორციელებელ ცვლილებებზე საუბრობენ. თუმცა, რაღა ახალი, წელიწადი საკმარისი დრო არის იმის განსაზღვრად, რა გზას ადგას მთავრობა და რა მიმართულებით ცდილობს ვითარების წარმართვას.

ქართული ოცნების უმთავრესი დაპირება — სამართლიანობა ყველგან და ყველა სფეროში, კვლავ დაპირებად რჩება. ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას დაპატიმრებას თუ არ ვიგულისხმებთ, ამ მიმართულებით ბევრი არაფერი გაკეთდა ქვეყანაში. ისინიც დღე-დღეზე შეიძლება გათავისუფლდნენ და „დაჩაგრულის“ ან „პოლიტპატიმრის“ სტატუსით „სამართლიანობის აღსადგენად“ ბრძოლა თავადვე დაიწყონ. ათასობით მოქალაქე კი, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან პროკურატურის კარებთან ათენ-აღამებდა, ელოდებოდა, რომ რაღაც ეტაპზე საქმე დაიძრებოდა და სამართლიანობის აღდგენის ექო გრგვინვასავით გადაუვლიდა ქვეყანას... სულ ტყუილად! იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ამას წინათ საჯაროდ განაცხადა, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნამ გარკვეული დროით, უფრო სწორედ, უვადოდ გადაიწია. ბუნებრივია, ამან ის მოქალაქეები აღაშფოთა, რომელთაც ეგონათ, რომ საქართველოში სამართლის ძიებას აზრი ექნებოდა! თეა წულუკიანის განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაციებიც ეხმიანებიან. ადამიანის უფლებათა ცენტრმა სპეციალური განცხადება გაავრცელა და მთავრობის გადაწყვეტილება უარყოფითად შეაფასა: **„მიგვაჩნია, რომ ძველი ხელისუფლების მიერ უკანონოდ წარმოებული საქმეების, უკანონო და დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებების ხელახლა გადახედვა და სამართლიანობის აღდგენა სწორედ „ქართული ოცნების“ მიერ გაცემულ ძირითად დაპირებას წარმოადგენდა, რამაც მეტწილად განაპირობა მათი ხელისუფლებაში მოსვლა.**

მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის ინიციატივა ხელისუფლების მიერ სამართლიანობის ადღგენის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს წარმოადგენდა იმ ტოტალური უკანონობის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების სათავეში ყოფნის განმავლობაში ათასობით ადამიანი გახლდათ“, — ნათქვამია ტექსტში.

სამართიანობის აღსადგენად გადადგმულ ერთ-ერთ პოზიტიურ ნაბიჯად მიიჩნევენ 2012 წლის 5 დეკემბერს მიღებულ დადგენილებას, რომელიც პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და დევნილი პირების სტატუსის აღიარებას შეეხებოდა. დაპირება განახორციელეს კიდეც, თუმცა, როგორც სამართალმცოდნე ლია მუხაშავრია ამბობს, დიდი ნუგეში არ არის, ვინაიდან გათავისუფლებულ პირებს დღემდე არ მოხსნიათ ნასამართლობა და ისინი კვლავ იმ დანაშაულისთვის არიან ბრალდებულები, რა მუხლითაც სასჯელი შეუფარდა წინა ხელისუფლებამ, რაც თავისთავად ნონსენსია!

კარგად გვახსოვს ყოფილი მთავარი პროკურორის გია მეფარიშვილის ინიციატივა, ალტერნატიული პროკურატურის შექმნის შესახებ. ამ იდეის არსი ის გახლდათ, რომ უნდა შექმნილიყო პროკურორთა ჯგუფი, რომელიც მხოლოდ წინა ხელისუფლების პირობებში გამოტანილ განაჩენებს გადახედავდა და ასე შეუმსუბუქებდა ტვირთს პროკურატურას. თუმცა, იუსტიციის მინისტრმა მაშინვე გამოთქვა აზრი „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის“ შექმნის აუცილებლობაზე და რამდენიმე შეხვედრაც გამართა, როგორც ამ საქმის პროფესიონალებთან, ისე არასამთავრობო სექტორთან. ხელისუფლების შეცვლის დღიდან საზოგადოება მოთმინებით ელოდებოდა ამ კომისიის შექმნას.

ადამიანის უფლებათა ცენტრში ამბობენ, რომ „**კომისიის ჩამოყალიბების პროცესში არათუ აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო სექტორი, არამედ უკვე მიმდინარეობდა კიდეც კომისიაში წარსადგენი საქმეების მომზადება“.** ერთი წლის თავზე კი რატომღაც ხელისუფლებამ საერთოდ უბოდიშოდ უარი თქვა კომისიის შექმნაზე.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს გადაწყვეტილება თეა წულუკიანისთვის იყოს მოსაწონი, მაგრამ მთავრობის შეხედულება ამ თემაზე სავარაუდოდ არ შეიცვლება. მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის უვადოდ გადავადება, მთავრობის არგუმენტებს თუ დავუჯერებთ, მხოლოდ ერთადერთი მიზეზით შეფერხდა: მოსალოდნელი ფინანსური და ეკონომიკური რისკების გამო...

არგუმენტი სარწმუნოა, მაგრამ ვერაფერი ნუგეშია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც „ქართული ოცნებისა“ სჯეროდათ. საზოგადოების უარყოფითი რეაქცია იმედგაცრუებისა და გამო აუცილებელ ასახვას ჰპოვებს მომავალ არჩევნებზე, რომელიც რამდენიმე თვეში გაიმართება. მაგრამ, ეტყობა, ფინანსური პრობლემები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა იძულებულია, ასეთ რისკებზე წავიდეს და უვადოდ გადადოს თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაპირების — სამართლიანობის აღდგენის ასრულება.

ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲣᲐᲛ-ᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ეს არის კომუნიკე, რომელიც თავად სუამ-ის წევრი სახელმწიფოების დოკუმენტს წარმოადგენს. ამავდროულად მიღებულია განცხადება, რომელსაც უერთდება ბალტიის საპარლამენტო ასამბლეა და ვიშეგრადის ჯგუფიდან პოლონეთი, რომელიც სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის რიგით მეექვსე სხდომაში იღებდა მონაწილეობას. დოკუმენტებში ის ძირითადი მისწრაფებები და მიზნებია ასახული, რომელიც სუამ-ის წევრ ქვეყნებს გააჩნიათ. ყურადღება გამახვილებულია ევროპულ მისწრაფებებსა და კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

— დოკუმენტებში ასახულია აღმოსავლეთ პარტნიორობის მხარდაჭერა. მოლდოვას და საქართველოს წარმატება სახეზეა ვილნიუსის სამიტიდან. ასევე აღნიშნულია მოლდოვეთი, საქართველო და უკრაინა როგორც პარაფირების მქონე ქვეყნები. დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების არჩევანში“, — განაცხადა სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ზურაბ აბაშიძემ.

ასამბლეის სხდომაზე მიღებულ დოკუმენტებში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კონფლიქტებს, რაც, თავის მხრივ, სუამ-ის წევრ ქვეყნებს უკავშირდება.

— ეს პრობლემა აქვს აზერბაიჯანს, საქართველოს, მოლდოვას. დოკუმენტებში დაგმობილია ამ სახელმწიფოების ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების არსებობა. ამასთან, ქართული მხარის მოთხოვნით დოკუმენტებში ჩაიდო ოკუპაციის ხაზზე მავთულხლართების გაბმის საკითხიც, რაც საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებულ დოკუმენტებში არის დაგმობილი.

ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ

ᲐᲛᲘᲡ შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სასტუმრო „რედისონში“ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.

მისივე განმარტებით, არც ერთი დაჭრილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეომარი აღნიშნული პროგრამის მიღმა არ დარჩება.

— ჩვენ, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებს გვყავს ბიჭები, ვინც წლების განმავლობაში საკუთარი ჯანმრთელობა შესწირა ჩვენი ქვეყნის მთლიანობას, საერთაშორისო ოპერაციებს და საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვას. ეს ადამიანები და ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქე გვაძლევენ შანსს, ვიყოთ უკეთესები და სახელმწიფოს ვალდებულება ბოლომდე შესრულდეს ასეთი მოქალაქეების მიმართ, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისივე განმარტებით, ის პირობას დებს, რომ მართლაც ღირსეულად მოექცევა ყველა იმ ადამიანს, ვისი თანამონაწილეობაც ჩვენი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობაში არის აუცილებელი.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐ

ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲡᲭᲐᲠᲑᲝᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ზუსტი დემოგრაფიული მდგომარეობა გაისად ნოემბერში ჩასატარებელი საყოველთაო აღწერის შედეგების სათანადო დამუშავების შემდეგ გახდება ცნობილი, რასაც, ბუნებრივია, გარკვეული დრო დასჭირდება. ამდენად, ზუსტი მონაცემები, სავარაუდოდ, 2015 წელს გვეცოდინება, მანამდე კი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ რამდენიმე ციფრს გაგაცნობთ, რომელიც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს — შობადობას ეხება.

ამ მხრივ საქართველოში დღესდღეობით არსებული ვითარება (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით), რის თაობაზეც 2012 წლის მონაცემები სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა, მთლად საგანგაშო თუ არა, ნამდვილად დამაფიქრებელია. საქმე ისაა, რომ **აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში 57031 კაცი დაიბადა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,7 პროცენტით, ხოლო 2010 წლისას სულაც მთელი 9 პროცენტით ჩამორჩება (შესაბამისად, 58014 და 62585 კაცი). თანაც, ბიჭები გოგოებზე მეტი იბადება — მათი წილი ახალშობილთა რიცხოვნობაში 52,3 პროცენტს შეადგენს (29801 ვაჟი), დანარჩენი 47,7 პროცენტი კი (27230) — გოგოა.**

მეტად არასასიამოვნო გარემოება გახლავთ ის, რომ, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, იზრდება განქორწინებათა რიცხვი: თუ 2011 წელს ქვეყანაში ერთმანეთს ოფიციალურად 5850 წყვილი დაცილდა, შარშან უკვე 7136 ცოლ-ქმარი დაშორდა, რაც ამ მეტად არასასურველი პროცესის 22- პროცენტიან გაძლიერებას ნიშნავს. ერთმანეთზე კი ამავე პერიოდში 30412 წყვილმა იქორწინა, რაც 2011 წელთან შედარებით მართალია 1,5 პროცენტით ნაკლები კია, მაგრამ მაინც მეტია და სასიამოვნოა.

საგულისხმოა ქვეყნის ახალ მოქალაქეთა ბუნებრივი ნამატის სტრუქტურა: შარშან დაბადებულ ბავშვთა შორის შემცირდა პირველ პირმშოთა წილი და გაიზარდა ოჯახში მეორე და მომდევნო შვილების გაჩენა.

წინა წელთან შედარებით 2012 წელს მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთი პროცენტით შემცირდა, ბუნებრივმა ნამატმა 7863 კაცი შეადგინა და 2011 წელთან შედარებით 6,3 პროცენტით შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წინამდებარე მასალის თავშივე აღვნიშნეთ და რაც წლების განმავლობაში საზოგადოებაში ცხარე პოლიტიკური დისკუსიების საგანი და გარკვეული პოლიტიკური ბრალდებების საფუძველი იყო, საქართველოს მოსახლეობის ზუსტი რიცხოვნობა დღესდღეობით დიდად საკამათო საკითხია. სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვამცნობს, რომ **წლევანდელი პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოში 4 მილიონ 497 ათასი კაცი ცხოვრობდა, რაც 28,4 ათასი კაცით მეტია 2011 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე, ანუ მოსახლეობის რიცხოვნობა 0,6 პროცენტით გაიზარდა.**

აღსანიშნავია, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით) **მოსახლეობის 53,2 პროცენტი (2 მილიონ 391,7 კაცი) ქალაქად — 46,8 პროცენტი კი (2 მილიონ 105,9 ათასი კაცი) — სოფლად ცხოვრობს.** 2012 წელს თბილისში მილიონ 172,7 კაცი ცხოვრობდა, რაც 0,9 პროცენტით მეტია 2011 წელთან შედარებით.

რაც შეეხება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ უფრო დაწვრილებით და ამომწურავ ინფორმაციას, როგორც ვიუწყებოდით, ყველაფერი გაისად ნოემბერში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების შემდეგ გახდება ცნობილი.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

იყო სიბნელე და უკუნი, შენ დაუკა „სულიკო“ და „შალახო“

გაიხარე წამებულო, უკვე ევროქართველო!

ჰო, პარაფირ-ასოცირება დამავიწყდა, თორემ მოკლედ ეს არის კვინტესენცია იმისა, რაც გასულ კვირას მოხდა ვილნიუსში! უფრო სწორედ ის თუ როგორ შეფუთა ოფიციოზმა ვილნიუსის „ისტორიულ“ სამიტზე გათამაშებული მორიგი ისტორიული ფარსი!

დიახ, მორიგი, რადგან „პირველად იყო სიმღერა, სიმღერა მრავალხმიანი და სიმღერისგან შეიქმნა“... არა, ჩემო მკითხველო, ცხონებულ ინოლა გურგულიას არ „ვამღერებ“ და ეგებ მიმიხვდე მინიშნებას? ჰო, ჰო, ეგ არის! ინოლას არა, იმ სხვა სიმღერიდან შეიქმნა „აღა გეურქას ქურქის ზღაპარი“ საქართველო-ნატოს პლატონურ სიყვარულზე და პლატონური სიყვარულიც ხომ იცით რას ნიშნავს ქართულ იუმორისტიკაში? ანუ, შენ გიყვარს, უნამუსო პლატონა კი ჩინჩლავს...

ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს, სულ რაღაც 2-3 საათით პირველად გვესტუმრა ნატოს მაშინდელი გენმდივანი (გვარი ვერაფრით გავიხსენე) და მას შემდეგ, ვიდრე რასმუსენამდე ლამის 20 წელიწადია გვიმღერ-გვიყვებიან ზღაპარს ნატო-საქართველოს პლატონურ სიყვარულზე, რომ ოღონდ დღეს არა, მაგრამ ხვალ, ხვალ არა, ზეგ და ზეგაც თუ არა, მაზეგ „სტოპრო“ მიგვიღებენ ნატოში. მთავარი ხომ ის იყო, რომ ნატოს კარი ღიაა და ამ ღია კარის შემყურეებმა ჯერ „მაპზე უკეთესი“ მივიღეთ, შემდეგ „ასპირანტობას“ მივაღწიეთ და ვინ იცის მომავალში იქნებ „პროფესორობასაც“ გამოვკრათ ხელი?!

ამ სიყვარულის სანაცვლოდ კი ქართველ საჯიშე ბიჭებს ავღანეთის სასაკლაოზე ერეკებოდნენ და დაიძრა კიდეც ყანდაარ-ჰელმანდიდან ქართველთა კუბოების ქარავანი თბილისისაკენ!

ამასობაში კი ნატო-საქართველოს ფლირტაობამ ისე გააცეცხლა „ივან პლატონოვი“, რომ 2008 წლის აგვისტოში ჯერ მაგრად „გვიხმარა“ და შემდეგ სოხუმ-ცხინვალი უკვე დეიურეც „აგვახია“...

ყოველივე თქმულიდან დღეს შინაურ ნატოელებსაც აღარ სჯერათ ნატოს ზღაპრისა! თუმცა, როდის სჯეროდათ როო? — ყოველთვის ძალიან კარგად იცოდნენ და მით უმეტეს აგვისტოს ომის შემდეგ იციან, რომ საქართველოსთვის ნატო ქიმერა, საუკუნის აფიორაა. უბრალოდ მიხვდნენ, რომ მიუხედავად იმისა, საქართველოს მოსახლეობის 80% „უჭერს მხარს“ ევროატლანტიკურ არჩევანს, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება იფეთქოს ამ ოთხმოცმა პროცენტმა და ნატოს ხსენებაზე თავპირი დაანგრიოს ქართველ ნატოელებს, რადგან ქართველი საზოგადოება იმასაც მიხვდა, რომ არანაირი 80%, მით უმეტეს აგვისტოს ომში „გამარჯვების“ შემდეგ, ბუნებაში არ შეიძლება არსებობდეს და ეს ზღაპარი მხოლოდ ელიტის ხელისუფლებაში დარჩენისთვის არის მოგონილი!

ამიტომ გახდა საჭირო რაიმე ახალი მითის მოგონება და აკი მოიგონეს კიდეც ნაცებ-ქოცების მფარველებმა დასავლეთში, რასაც აღმოსავლეთ პარტნიორობის, ასოცირების ხელშეკრულება დაარქვეს, რაც სხვა არაფერია საქართველისთვის, თუ არა კიდევ ერთი „მაპზე უკეთესი“...

ფინანსების, მუშახელის თავისუფალი მიმოქცევა, გადაადგილება, თავისუფალი ვაჭრობა და სავიზო რეჟიმის ნელ-ნელა ლიბერალიზაციით ეტაპობრივი სვლა უვიზო რეჟიმისკენ ევროკავშირის ტერიტორიაზე — აი, ის სიკეთეები, რასაც გვიქადის პარაფირების შემდეგ ხელმოწერა ერთი წლის შემდეგ. კი მაგრამ იმ 1000-გვერდიან(!!!) დოკუმენტში, რაზე ხელისმოწერამაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სიხარულისგან აატირა, მხოლოდ ეს „ორი სიტყვა“ წერია? მაშ რატომ არავინ არაფერს გვეუბნება დოკუმენტის სრულ შინაარსზე?

ის 350 კანონი, რომელიც ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ ვილნიუსში პარაფირებიდან უკვე დოკუმენტის ხელმოწერამდე, ანუ იმ სიკეთეების სანაცვლოდ, რასაც ეტაპობრივად გვპირდებიან, მყისიერად ხომ არ ითხოვენ ჩვენგან ისეთ „უმნიშვნელო“ ვალდებულებების საკანონმდებლო გარანტიებს, როგორებიც ათასობით ე.წ. თურქი მესხის ჩამოთესლებაა საქართველოში, ან ლგბტ-პედერასტების უფლებების უმკაცრეს დაცვას ხომ არ გვთხოვენ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების ჩათვლით?

ანდა ვილნიუსის სამიტის დღეს შემთხვევით დაემთხვა სოფელ ჭელაში მინარეთის აღდგენა და ქრისტიანული საშობაო მარხვის დაწყების პირველ დღეს მინარეთიდან მუეძინის ყივილი? ხომ არ იყო ეს მკრეხელობა რესპუბლიკელების გზავნილი ამერიკაში — ხელი არ ჩაიქნიოთ ჩვენზე, ცოტაც გვაცალეთ და იავარყოფთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც მტერს ყოველი ლიბერასტულისასო! თუ „შალახოს“ რიტმები იყო შემთხვევით აჟღერებული „ისტორიულ სამიტზე“?

ჩვენი ბრალი არ არის, რა მუსიკას დაუკრავენ, მასპინძელ-ორგანიზატორი ქვეყნის კომპეტენცია იყო „შალახო-კინტაურის“ ჰანგებიო, — თავი იმართლა ამ მართლა კინტო კოკა ყანდიაშვილმა, რომელიც თურმე საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შეფი ყოფილა...

ჰოდა, მით უარესი ჩვენი მეგობარი ლიტვისთვის —თქვე კაი ხალხო, თვით ამერიკელებმაც კი, რომლებიც დღეს მსოფლიო ლგბტ-პედერასტების უპირველესი მფარველები არიან, გასული საუკუნის 70-ანებში კოსმოსში გენიალური ქართული „ჩაკრულო“ გაუშვეს და თქვენ, ლიტველებს რა გეტაკათ, რომ მოცემულ კონტექსტში რაღაც უსიამო ასოციაციების გამომწვევი „კინტაურის“ მეტი ვერაფერი გაიმეტეთ?

არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ ის კი მჯერა, რომ ამდენი შემთხვევითი დამთხვევისა მხოლოდ დამთხვეულმა შეიძლება დაიჯეროს...

უკრაინამ ევროკავშირის „შნირობაზე“ თქვა უარი...

აი, მოკლედ ის, თუ რა და რის გამო ხდება კიევის მაიდანზე. უფრო ვრცლად კი, ნატოსი არ იყოს, რომლის ყველა წევრი ალიანსის თანაბარუფლებიანნი ვერ იქნება, სწორედაც არათანაბარი „წონისა“ გამო (ანუ, ვთქვათ და ხვალ რუსეთი „გაგიჟდა“ და ბალტიის ქვეყნებში ტანკები შეიყვანა, მხოლოდ გიჟს თუ ჰგონია, რომ ავტომატურად ამოქმედდება ნატოს წესდების ის პარაგრაფი, რომელიც ღაღადებს, რომ ალიანსის რომელიმე წევრზე თავდასხმა, მთელს ნატოზე თავდასხმას ნიშნავს და ნატოს „შნირი“ ქვეყნის გამო მესამე მსოფლიო ომი დაიწყება), ევროკავშირშიც არიან ჰეგემონი ეკონომიკური მონსტრები საფრანგეთ-გერმანია-ბრიტანეთი, შედარებით დაბალი რანგის იტალია-ესპანეთი-ჰოლანდია-ბელგია... მოკლედ ე.წ. ბებერი ევროპა და დანარჩენ, ყოფილ საბჭოთა ბლოკის ქვეყნებზე (ჩეხეთ-სლოვაკეთზე, ბულგარეთ-რუმინეთზე, ბალკანეთის თუ ბალტიის ქვეყნებზე), მხოლოდ მესამე რიგში თუ შეიძლება საუბარი.

ე.წ. აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებს, რომელთა შორის უკრაინასთან ერთად საქართველო, მოლდოვა, სომხეთი და საქართველოც განიხილებოდა, ნატოსი არ იყოს, მხოლოდ როდინობის კვირის შვიდშაბათს თუ „ეჯღანებათ“ ევროკავშირის წევრობა!

„შნირი“, ციხის ჟარგონზე დამლაგებელს, „პარტნოის“, „პარაშის“ გამტანს, პარიკმახერს, ერთი სიტყვით „აბსლუგას“, მოსამსახურეს ნიშნავს და აღმოსავლეთ პარტნიორობის მაქსიმუმი სწორედ მდიდარი ევროპელებისთვის ხელის ბიჭობას, უკანალის წმენდას ნიშნავს ჩვენისთანა ქვეყნების მცხოვრებთათვის. რაზედაც, სხვათა შორის, არც ასოცირებაზე პარაფირება-ხელმოწერის გარეშეც არ გვეუბნებიან უარს.

ამ ყველაფერთან ერთად, უკრაინის „რადამ“ და პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა მისხალ-მისხალ აწონეს (ჩვენგან განსხვავებით), უკვე ასოცირებული წევრობის პლიუს-მინუსები და დაინახეს, რომ ხორბლის გარდა (რომელიც ისედაც გააქვთ ევროპაში) კონკურენტუნარიანი საქონელი თითქმის არა აქვთ და ის თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა ევროკავშირთან, მხოლოდ ცალკარში თამაში იქნებოდა. ანუ, ევროკავშირიდან უკრაინაში შემოვიდოდა მაღალი სტანდარტების და ასეთივე ფასების დაუბეგრავი საქონელი, რაც ადგილობრივი წარმოების თითქმის სრულ სიკვდილს ნიშნავს და ამის საპასუხოდ რუსეთთან შეღავათიანი პირობებით ვაჭრობის გაუქმება, ენერგომატარებლებზე ევროპული ფასის გადახდა იმავე რუსეთისთვის, უკრაინის სახელმწიფოს სრულ კოლაფსს ნიშნავს. ამიტომაც პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ევროკავშირის „შნირობას“ რუსეთთან თანაბარუფლებიანი პარტნიორობა არჩია!..

ეკონომიკაში დიდი ყარამანი არა ვარ, მაგრამ საინფორმაციო საშუალებების ანალიზისას დავრწმუნდი, რომ რუსეთის ზეწოლა უკრაინაზე სხვა არაფერია, თუ არა იგივე რუსეთის ზრუნვა საკუთარი ეკონომიკური ინტერესებისათვის. რამე თუ უკრაინის მიერ ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის რატიფიკაციის და ამავე დროს რუსეთის მიერ უკრაინასთან შეღავათების სტატუსქვოს შენარჩუნების შემთხვევაში, ევროპა-უკრაინა-რუსეთის კორიდორის „სკვაზნიაკი“ ამ უკანასკნელის ეკონომიკის სიკვდილს ვერა, მაგრამ მნიშვნელოვან ზარალს ნიშნავს. ამიტომ განაცხადა პუტინმა ვილნიუსის სამიტამდე ორიოდე დღით ადრე რომში ვიზიტისას — რა, ჩემს ევროპელ მეგობრებს რომ თავი მოვაწონო, საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა უნდა ვაზარალოო? და იქით დაადანაშაულა ევროკავშირი უკრაინაზე ზეწოლა-შანტაჟში...

ამავე დროს ვიქტორ იანუკოვიჩმა ისიც აღიარა, რომ ევროკავშირმა დიდი ხნის წინათ შეპირებული 640 მილიონი ევრო (რაც ზღვაში წვეთია, რადგან უკრაინის ეკონომიკის ევროსტანდარტებამდე მოდიფიკაციას ამდენივე მილიარდი სჭირდება, მაგრამ მაინც) არა და არ მომცა და ახლა, სამიტის წინ მსოფლიო სავალუტო ფონდთან გადამამისამართაო და ამ უკანასკნელმა თანხის სანაცვლოდ ხელფასი-პენსიების გაყინვა და შიდა ბაზარზე მოსახლეობისთვის გაზის ტარიფის გაზრდა მომთხოვაო, რასაც არასდროს ვუზამ საკუთარ ხალხსო!!!

ეს რომ გაეკეთებინა უკრაინის პრეზიდენტს, დასავლეთისგან ორგანიზებულ-დაფინანსებულ მიტინგებზე დღეს მდგომი გაბრიყვებული ხალხი, რომელსაც ჰგონია, რომ იანუკოვიჩმა ქაღალდის ნაგლეჯზე ხელის არმოწერით უკრაინელებს ევროპელობა წაართვა, გაევროპელობის შემთხვევაში ეკონომიკური გაჭირვების გამო ცოტა ხანში ისევ იანუკოვიჩს მოსთხოვდა პასუხს, რაც დასავლეთის ოცნებაა, რადგან იანუკოვიჩმა ჩაშალა უკრაინაში ნარინჯისფერი პროექტი მსოფლიო ნეოლიბერალებისა!

ის, რომ დასავლეთი უკრაინაში დაწყებული არეულობების პასიური დამკვირვებელი კი არა, დაინტერესებული მხარეა, ისიც მოწმობს, რომ ევროპის მაღალჩინოსნები (ლეხ კაჩინსკი, ლიტვის პარლამენტის სპიკერი და სხვები) მიტინგებზე გამოჩნდნენ და პირდაპირ აგულიანებენ, აქეზებენ უკრაინელებს?!

ამასობაში პრეზიდენტი პუტინი 2 დეკემბერს ერევანში ჩავიდა. სადაც დაუფარავად, ყოველგვარი დიპლომატიური მიეთ-მოეთის გარეშე განაცხადა პრაქტიკულად უკვე საბაჟო კავშირის წევრი სომხეთის პრეზიდენტთან საუბრისას, რომ რუსეთი ამიერკავკასიიდან არსად არ მიდის და უფრო მეტიც, საკუთარი პოზიციების განმტკიცებას აპირებს!

ბაქო, ერევანი და ვინ რჩება მესამე ამიერკავკასიაში? საქართველო, ჰოდა მარტო საქართველო შეძლებს რუსეთის გეგმების, ამბიციების მოთოკვას კავკასიაში? ან წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი და დავუშვათ შეძლოს (რისთვის, რატომ?) ევროკავშირს, გნებავთ ამერიკის, ან კიდევ უარესი, ორივეს ერთად „შნირობისთვის“?

რა ვიცი, ჩემი მოკლე ჭკუით, „შნირობას“ ისევ ჯერ საბაჟო და შემდეგ ევრაზიული კავშირის თანაბარუფლებიანი, პარტნიორული წევრობა სჯობია, თანაც ოდესმე იქნებ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედით...

შენ რას იტყვი მკითხველო?

დავით მხეიძე

> ყოველივე თქმულიდან დღეს შინაურ ნატოელებსაც აღარ სჯერათ ნატოს ზღაპრისა! თუმცა, როდის სჯეროდათ როო? — ყოველთვის ძალიან კარგად იცოდნენ და მით უმეტეს აგვისტოს ომის შემდეგ იციან, რომ საქართველოსთვის ნატო ქიმერა, საუკუნის აფიორაა. უბრალოდ მიხვდნენ, რომ მიუხედავად იმისა, საქართველოს მოსახლეობის 80% „უჭერს მხარს“ ევროატლანტიკურ არჩევანს, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება იფეთქოს ამ ოთხმოცმა პროცენტმა და ნატოს ხსენებაზე თავპირი დაანგრიოს ქართველ ნატოელებს, რადგან ქართველი საზოგადოება იმასაც მიხვდა, რომ არანაირი 80%, მით უმეტეს აგვისტოს ომში „გამარჯვების“ შემდეგ, ბუნებაში არ შეიძლება არსებობდეს და ეს ზღაპარი მხოლოდ ელიტის ხელისუფლებაში დარჩენისთვის არის მოგონილი!

რას ერჩოდნენ საქართველოს?

ამასაც მოვესწარით, აშშ-ს ყოფილმა მაღალჩინოსნებმა, ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით, გაიხსენეს სააკაშვილის მმართველობა და ყველაფერი ისე შეაფასეს, როგორც სტრატეგიული პარტნიორის ინტერესები მოითხოვს. სხვა მოლოდინიც არ უნდა გვქონოდა, რამეთუ ათწლიანი დანაშაული – სააკაშვილისა და ნაცების მიერ ჩადენილი, თავისთავად ჩრდილს აყენებს მსოფლიოს პირველ ქვეყანას.

ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის, სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკის მეთიუ ბრაიზას, საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩის რიჩარდ მაილსის რეტროსპექტივა ქართველმა საზოგადოებამ ისე აღიქვა, როგორც მას სურდა, ანუ სააკაშვილის დაგმობის კუთხით.

სამივე გახსენება საქართველოს უახლესი ისტორიის შემადგენელი ნაწილი იქნება და არა მარტო საქართველოს, არამედ აშშ-ის. გაივლის წლები, ექსპერტები და ისტორიკოსები არაერთხელ მიუბრუნდებიან სააკაშვილის ავადსახსენებელი მმართველობის პერიოდს. მიუბრუნდებიან და უკვე სხვა თვალით, ცივი გონებით შეაფასებენ მას – ზოგი დადებითად, ზოგი უარყოფითად. აწონ-დაწონიან იმჟამინდელი ამერიკის პოლიტიკოსთა ყველა გამონათქვამს, ქმედებას.

სწორედ აწმყოსა და მომავლის გათვალისწინებით, აღნიშნულ პირთა გამონათქვამებში, მოჩანს მთავარი – აშშ-ს „ანკარა“ პატიოსნება და ის, რომ ამერიკა არაფერ შუაშია. სამივე ყოფილის მთავარი მიზანი – ამერიკის გათეთრება, უმანკო კრავად წარმოჩენაა. მიაღწიეს თუ არა მათ ამ მიზანს? ცხადია, მიაღწიეს – უპირველესად, აშშ-ს იმ ფენებში, ვინც მეტ-ნაკლებად იცის საქართველო.

მიაღწიეს სააკაშვილის „ბედნიერი“ მმართველობის მომსწრე ქართველ საზოგადოებაშიც, და რომ მიაღწიეს, თვალნათლივ ჩანს ქართველ ექსპერტთა თუ პოლიტიკოსთა კომენტარებში. ცხადია იმათში, ვინც კრიტიკულად, უფრო ზუსტად მტრულადაა განწყობილი სააკაშვილისა და მისი მმართველობისადმი, არა ნაცებში.

სამივე მათგანი არათუ აკრიტიკებს, არამედ პირდაპირ ხელს ადებს სააკაშვილს 2008 წლის ომის გაჩაღებაში. განსაკუთრებული სიხისტით მაილსი გამოირჩევა, ვინაიდან მას იმჟამინდელ პერიოდთან გაცილებით მეტი შეხების წერტილები ჰქონდა, ვიდრე დანარჩენ ორს.

მაგრამ არც ერთი მათგანი არ აცხადებს, რომ დანაშაულის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს. მაილსი, სააკაშვილის მიერ ჩადენილ სხვა „საგმირო“ საქმეებსაც იხსენებს, „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“, ფორმატში, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ახლა? რატომ დაელოდა მაილსი სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვას? იქნებ ადრე რომ კატეგორიულად დაეფიქსირებინა სახელმწიფო დეპარტამენტში საკუთარი მოსაზრება სააკაშვილის მიმართ, საქართველოს მდგომარეობა გაცილებით უკეთესი ყოფილიყო?

მაილსთან კარგა ხნის განმავლობაში მქონდა ურთიერთობა. მასთან ერთად არაერთხელ მიმოგზაურია ბათუმში, ასლან აბაშიძესთან სალაპარაკოდ. კერძო საუბარში ბატონ ელჩს, მინიშნებით არაერთხელ გამოუხატავს სააკაშვილთან მისი „დელიკატური“ დამოკიდებულება. არც სააკაშვილი გამოირჩეოდა მის მიმართ დიდი „სითბოთი“.

მართალია, მაილსს მიიჩნევენ „ფერად-ყვავილოვანი“ რევოლუციების სულისჩამდგმელად, მაგრამ ის, რომ „ვარდების რევოლუცია“ სხვაგვარად ვითარდებოდა და არა ისე, როგორც ის ისურვებდა, არაერთხელ გამოჩნდა მასთან ლაპარაკის დროს. აჭარა ერთი თვით ადრე „განთავისუფლდებოდა“ და, შესაძლოა, სისხლით, რომ არა მაილსის სწრაფი რეაქცია.

2004 წლის ადრე გაზაფხულზე, სააკაშვილმა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მიაყენა ჩოლოქს და ბათუმის აღება გადაწყვიტა. ასლან აბაშიძე მოსკოვში იმყოფებოდა. ჩოლოქზე ასლან აბაშიძის შეიარაღებული ხალხი იდგა. მოხდა კიდეც სიტყვიერი შეხლა-შემოხლა. თუ ვინმეს შეეძლო სისხლისღვრის თავიდან აშორება, აშშ-ს ელჩი იყო.

სასწრაფოდ დავუკავშირდი მას, ავუხსენი ვითარება და ვთხოვე ზომების მიღება. მისი არაერთი მცდელობა, ტელეფონით დაკავშირებოდა ფოთში გამაგრებულ სააკაშვილს, უშედეგოდ დამთავრდა. გამოსავალი მხოლოდ ის იყო, ელჩი პირადად ჩასულიყო სავარაუდო „ფრონტის“ ხაზზე და შეეკავებინა მოსალოდნელი წარმატებით გონებადაბინდული სააკაშვილი. ჩემი წინადადება უმალ დაემთხვა ელჩის მოსაზრებას, რომელიც, „უიკენდის“ მიუხედავად, სასწრაფოდ გაემგზავრა ფოთში. მისმა ძალისხმევამ შეაჩერა უკმაყოფილო სააკაშვილი.

იმჟამად აჭარა გადაურჩა „რევოლუციას“, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით, 2004 წლის 6 მაისს – ვერა. 2004 წლის მაისს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ჩოლოქს მთელი საქართველო მიაყენა, გარეგნულად შეუიარაღებელი, რომელმაც უპრობლემოდ გადალახა ჩოლოქის აფეთქებული ხიდი.

იმავე წლის აგვისტოს მაილსმა თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა სააკაშვილის მორიგ ავანტიურაზე – ცხინვალის მიმართულებით. მაშინ საქართველოს ნაცურმა ხელისუფლებამ სამარცხვინო მარცხი იგემა.

დიპლომატიის ერთ-ერთი ფუნქციაა ადგილსამყოფელი ქვეყნის ვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკუთარი საგარეო უწყებისთვის. მაგრამ ერთია ინფორმაციის მიწოდება და მეორეა ცენტრის მიერ მისი ყურადღებით განხილვა და ჯეროვნად შეფასება. დიპლომატიაში, სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ ელჩის მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია მაგიდის უჯრის სიღრმეში თავსდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრის დიპლომატთა განწყობას ამა თუ იმ ქვეყანაში მომუშავე ელჩის მიმართ.

სააკაშვილმა მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით შეძლო აშშ-ის მაღალი ორგანოების მუშაკების „მოხიბვლა“. ამ საქმეს შეეწირა საქართველოს მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული თანხები.

მაილსი სააკაშვილს აკრიტიკებს, მაგრამ მილოშევიჩთან შედარებით, კეთილ ადამიანად აღიქვამს, რაც, ჩემი აზრით, სრულიად შეუფერებელი დახასიათებაა იმ ადამიანისა, ვინც არაერთი ბოროტება ჩაიდინა.

ვერ დავეთანხმები ასლან აბაშიძის დახასიათებას ერთი სიტყვით – „დესპოტი“ . მაილსთან ერთად აბაშიძესთან მრავალი საათი მაქვს გატარებული, დესპოტთან გაჭირდებოდა ხანგრძლივი საუბრის გამართვა, მით უმეტეს ისეთ თემებზე, როგორებიცაა პოლიტიკა, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, ისტორია.

რომ არა ამ „დესპოტის“ ნება, აჭარაში 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას პრობლემები შეექმნებოდა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“, შევარდნაძის გადადგომის , სააკაშვილის უგვირგვინო „მეფედ“ აღიარების შემდეგ დადგა საპრეზიდენტო არჩევნების საკითხი. აშშ სააკაშვილის გაპრეზიდენტების მოწადინებული იყო.

ვაშინგტონმა თბილისს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლინ პასკო მოავლინა, რომელსაც მეთიუ ბრაისა ახლდა. მაილსმა შემატყობინა, რომ სასურველი იქნებოდა პასკო-აბაშიძის შეხვედრის ორგანიზება. მე დავურეკე მოსკოვში მყოფ ასლან აბაშიძეს და ვთხოვე ბათუმში ჩამოსვლა. მეორე დღეს, დილის 9 საათზე ბათუმში გაიმართა პასკოს, ბრაიზას, მაილსის საუბარი აბაშიძესთან, ჩემი თანდასწრებით.

იმ შეხვედრის დროს არა მარტო პრეზიდენტის არჩევნების თემა განიხილეს, არამედ ადგილობრივი არჩევნების მშვიდობიანად ჩატარების თემაც, რომელიც ერთი წლის შემდეგ უნდა გამართულიყო. აბაშიძემ პირობა შასრულა. მან არა მარტო საპრეზიდენტო არჩევნების ნორმალურად ჩატარება უზრუნველყო, არამედ კონსტრუქციული დიალოგიც გამართა ცალ-ცალკე ბურჯანაძე, ჟვანია, სააკაშვილთან, რასაც მიესალმა აშშ-ის საელჩო. აი, საელჩომ კი, სამწუხაროდ, ვერ თუ არ უზრუნველყო აჭარის მეთაურისთვის მომავალ არჩევნებში მონაწილეობა. ის, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ძალით აიძულეს წასულიყო ბათუმიდან.

ბუშის ადმინისტრაცია სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული სააკაშვილის გაპრეზიდენტებით, რაც არაერთხელ დაამტკიცა კიდევაც მომდევნო წლებში, განსაკუთრებით 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ანტირუსი სააკაშვილი რუსეთის რბილ ადგილებში საჩხვლეტად მომართული სადგისი იყო ვაშინგტონის ხელში.

2008 წლის ომიც ამ პოლიტიკის დასტურია. მაილსი ეხება ცხინვალის ომს და სრულ პასუხისმგებლობას სააკაშვილს აკისრებს, აბა აშშ-ს ხომ არ დაადანაშაულებს?!

არა მარტო მაილსი, არამედ კონდოლიზა რაისი და მეთიუ ბრაიზაც სააკაშვილს ადებენ ხელს, რაც მისასალმებელია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი აღიარებენ ომის გამჩაღებლის ვინაობას, მაგრამ დაუჯერებელია, სააკაშვილს, ვაშინგტონთან შეთანხმების გარეშე, წამოეწყო ესოდენ დიდი ავანტიურა პეკინის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური გახსნის ცერემონიალის დღეს.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონდოლიზა რაისის თბილისში ბოლო ვიზიტის შემდეგ სააკაშვილი საკომუნიკაციო სივრციდან გაქრა.

მედვედევის ნათქვამიდან გამომდინარე, აშშ-ის იმჟამინდელი ადმინისტრაციის სხვაგვარი განწყობა ჩანს. ამ „სხვაგვარმა“ განწყობამ ხომ არ აფიქრებინა სააკაშვილს აგრესიული ნაბიჯის გადადგმა?

ის, რომ სააკაშვილმა აშშ-ის ადმინისტრაცია ფაქტის წინაშე დააყენა, სიცილს თუ არა, ღიმილს მაინც იწვევს. ამერიკა, თბილისში საელჩოს გახსნის დღიდან, მთელი სიგრძე-სიგანით ერევა საქართველოს საშინაო საკითხებში. საქართველოს ხელისუფლებას იმის არჩევის უფლებასაც არ აძლევენ, ხაჭაპურში იმერული ყველი ჩადოს თუ სულგუნი.

ასეთ დროს „გამოეპარათ“ სატანკო კოლონების ცხინვალის მიმართულებით გადასროლა, ჯარის გორში მობილიზება, თუნდაც პრეზიდენტის კათედრის გორში ჩატანა ომის სავარაუდო მოგების შემთხვევაში, გამარჯვების სიტყვის წარმოსათქმელად?

აშშ არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნების საშინაო საქმეებში ერეოდა და ერევა, საილუსტრაციოდ უკრაინაც კმარა. უკრაინის ევროკავშირში ასოცირებულ წევრად მიღების ამბავმა სრულად გააშიშვლა დასავლური „დემოკრატია“.

აშშ-მა და მისმა მოკავშირე ბრიუსელმა დიდი დრო და ენერგია დახარჯეს უკრაინის ევროკავშირში შესათრევად, მაგრამ დრო ვერ გამოძებნეს სამგლე გოჭივით ატეხილი სააკაშვილის დასაშოშმინებლად. არც ერთი მაღალჩინოსანი ამერიკელი ან ევროპელი არ სწვევია თბილისს აგვისტოს დასაწყისში, ომამდე, როდესაც ომის სუნი აშკარად ტრიალებდა საქართველოში. არც ერთმა არ ისურვა, თუნდაც ტელეფონით გაეფრთხილებინათ სააკაშვილი, რომ ომის დაწყება, მისი პრეზიდენტობის დასასრული იქნებოდა. არც ერთმა არ ისურვა, ომის შემდეგ სააკაშვილის ავანტიურისტული ნაბიჯების დაგმობა, პირიქით მხარში ამოუდგნენ სააკაშვილს და გადაარჩინეს ხალხის რისხვისგან.

და კიდევ ერთი რამ: მაილსის, რაისის და ბრაიზას ნათქვამში სააკაშვილის „გიჟობის“ თემა თვალშისაცემია. ნეტავ რა მნიშვნელობით არის გამოყენებული ეს სიტყვა – სიყვარულით თუ ზუსტი მნიშვნელობით? და თუ ზუსტი მნიშვნელობით არის გამოყენებული, რას ერჩოდნენ საქართველოს?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ალიან-ჩალიანი

ჯანდაცვის უწყებას დაფინანსება შეუმცირდა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო „დანაზოგით“ ხსნის იმას, რომ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში მისი უწყების დაფინანსება პროექტის წინა ვარიანტთან შედარებით შემცირებულია.

– მიმდინარე წლის დასაწყისში საყოველთაო ჯანდაცვის ფინანსური დაგეგმარება მოხდა პრეცედენტულად, იმ თანხებიდან გამომდინარე, რასაც ანალოგიურ პროექტში ხარჯავდა კერძო სადაზღვევო ინდუსტრია. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ბევრად ხარჯეფექტურად შევძელით ამის მართვა, ამიტომ დაზოგილი თანხები ნაწილობრივ ისევ საყოველთაო ჯანდაცვაში ჩავდეთ. ამასთან, გავზარდეთ რამდენიმე სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება, თუმცა, ხარჯების დაზოგვა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ათვისებასაც ვერ მოახერხებდა წლის ბოლომდე, ამიტომ მთავრობამ გადაანაწილა პრიორიტეტების მიხედვით, – განაცხადა დავით სერგეენკომ. მისივე განმარტებით, შეუძლია დაადასტუროს, რომ თანხების ეს გადანაწილება არ შეამცირებს არც ერთ ვალდებულებას.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების დაფინანსება, პროექტის წინა ვარიანტთან შედარებით, შემცირებულია.

მომავალი წლის საბიუჯეტო პროექტის საბოლოო – კორექტირებული ვარიანტი მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა. განათლების სამინისტროსთან ერთად, კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სექტორი, თუმცა, საბიუჯეტო ასიგნებები რამდენიმე მილიონით ორივე უწყებას შეეკვეცა.

ინტერპრესი

◎ რას იტყვის პარლამენტი?

ყოფილი მოსამართლე კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტს მოითხოვს!

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ლალი ლაზარაშვილის პარლამენტში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას ითხოვს. ამასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები კომენტარს არ აკეთებენ. ყოფილმა მოსამართლემ კუბლაშვილის იმპიჩმენტის დაწყების მოთხოვნით საქართველოს პარლამენტს 21 ნოემბერს მიმართა, სადაც მის მიერ მოყვანილი კონკრეტული ფაქტების შესასწავლად კომისიის შექმნას და კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტისთვის შესაბამისი პროცედურების დაწყებას სთხოვს. განცხადებას თან ახლავს სამართლებრივი საფუძვლები, თუ კანონის რა ნორმებია დარღვეული მის წინააღმდეგ.

ყოფილი მოსამართლე კონსტანტინე კუბლაშვილის მხრიდან მისი მისამართით ჩადენილ კონკრეტულ დარღვევებზე ღიად საუბრობს. ლაზარაშვილის განცხადებით, შრომის დავაზე მისმა კოლეგამ დამკვიდრებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ გამოიტანა გადაწყვეტილება. მისი თქმით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი დამსაქმებლის საზიანოდ, დასაქმებულის სასარგებლოდ განმარტეს. ამ გადაწყვეტილების გამო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კონსტანტინე კუბლაშვილმა მოსამართლეები და სამოქალაქო პალატის წევრები დაიბარა და მკაცრად უსაყვედურა და ამ კონკრეტულ საქმეზე ანგარიშიც მოსთხოვა.

ლაზარაშვილის თქმით, ამავე შეხვედრაზე კუბლაშვილმა მათ პალატის ახალი თავმჯდომარის დანიშვნამდე და ახალ თავმჯდომარესთან გადაწყვეტილების შეთანხმებამდე ამ კატეგორიის საქმეების განხილვის შეჩერება მოითხოვა.

— ეს იყო მოსამართლისთვის ანგარიშის მოთხოვნა კონკრეტულ საქმეზე და მოსამართლის დამოუკიდებლობის და მის საქმიანობაში ჩაურევლობის კონსტიტუციური პრინციპის მთლიანი უგულებელყოფა. იყო შემთხვევები, როდესაც საქმეებზე უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელებისგან განსხვავებული აზრი მქონდა, რის გამოც სასამართლოში არასასურველი პირი აღმოვჩნდი. ჩემთან მიმართებაში მიიღეს გადაწყვეტილება, გავდევნილიყავი სასამართლოდან, რათა, რაც შეიძლება ნაკლები არამორჩილი მოსამართლე დარჩენილიყო სასამართლოში. ჩემთან ამ საკითხებზე მუშაობა განახორციელა სამოქალაქო პალატის თავმჯდომარემ ვასილ როინიშვილმა. რა თქმა უნდა, ეს შეთანხმებული იყო ხელმძღვანელობასთან, ბატონ კოტესთანაც.

როინიშვილი მიბარებდა კაბინეტში, მემუქრებოდა დისციპლინური დევნის აღძვრით, მთავაზობდა სასამართლოს დატოვებას, სხვა სამსახურში გადასვლას და ისინი იზრუნებდნენ ჩემს დასაქმებაზე, რაზეც არ დავთანხმდი. მეუბნებოდა, რომ სასამართლოში ჭირდებოდა გუნდი და მე აქ ჩემი განსხვავებული მოსაზრებებით ხელს ვუშლიდი. მეუბნებოდა, რომ ჩემი განსხვავებული მოსაზრებებით იქ გავმართე „დეტსკი სადი“. როდესაც შეთავაზებებზე უარი განვაცხადე, გადამიყვანეს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში“, — აღნიშნა ლალი ლაზარაშვილმა.

ლაზარაშვილის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მისი ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანის ინიცირება თავად კოტე კუბლაშვილმა გააკეთა. მისივე განმარტებით, ეს მოხდა არაკანონიერად, იძულებით, რის გამოც დაირღვა კონსტიტუცია და მთელი რიგი კანონები. ყოფილი მოსამართლე ასევე აცხადებს, რომ თავდაპირველად, ზაფხულში საქმის განხილვის თაობაზე მისი განცხადება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ საბჭოს არც კი გადასცა და ერთპიროვნულად, უფლებამოსილების გადამეტებით განიხილა. საბჭოს 12 ნოემბრის სხდომაზე კი, მოსამართლე წევრებმა კონსტანტინე კუბლაშვილის პოზიცია გაიზიარეს.

საქმესთან დაკავშირებით, კოალიციაში „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მიიჩნევენ, ლაზარაშვილის საქმის განხილვამ გამოავლინა, რომ საბჭოს მუშაობა დიდწილად წევრთა სუბიექტურ, არათანმიმდევრულ ინტერპრეტაციებსა და ურთიერთშეთანხმებებზეა დამოკიდებული, რაც ხშირად არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და სახიფათოა მართლმსაჯულების ინტერესებისთვის.

„საიას“ თავმჯდომარე **კახა კოჟორიძე** კი მიიჩნევს, რომ საქმეში მოყვანილი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, კონსტიტუციის დარღვევის ნიშნები იკვეთება, რაც კონსტანტინე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საფუძველს ქმნის.

— მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული ქმედებები შეიცავს დისციპლინური, სისხლისსამართლებრივი და კონსტიტუციური ნორმების დარღვევის ნიშნებს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ამაზე რეაგირება არ მოახდინა. საბჭომ არ იმსჯელა უზენაესი სასამართლოს კონკრეტული მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესაძლებლობასა და საგამოძიებო ორგანოებისთვის განცხადების გადაგზავნაზე.

გარდა ამისა, საბჭომ საერთოდ უარი თქვა ლაზარაშვილის მიერ ექვსი მოსამართლე წევრის მიმართ აცილების საკითხის განხილვაზე, მაშინ, როდესაც მოქმედი საბჭოს რამდენიმე წევრი 2010 წელს უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრების რანგში მონაწილეობდნენ ლაზარაშვილის სისხლის სამართლის პალატაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, ხოლო ერთი ჩართული იყო ლაზარაშვილის მიმართ მიმდინარე დისციპლინური დევნის დაწყების საქმეში, — აცხადებს კახა კოჟორიძე, რომლის განცხადებით, ეს საქმე, ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა იმ ხარვეზებისა, რაც საბჭოს საქმიანობაში შეინიშნება.

ჩვენ დაუკავშირდით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს **ეკა ბესელიას,** თუმცა, ბესელიასთვის ეს ინფორმაცია სიახლე აღმოჩნდა. როგორც მან აღნიშნა, ის ამ კონკრეტულ საქმეს არ იცნობს.

„თუ ჩვენს კომიტეტში შემოვა ეს საკითხი, ბუნებრივია შევისწავლით. მაგრამ ჩვენ უკვე შევისწავლეთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ტურავას, გვენეტაძის, ლალიაშვილის და ისაევის განთავისუფლების საკითხი. განცხადებით მოგვმართეს ამ მოსამართლეებმა და ისინი ითხოვდნენ, რომ პარლამენტს შეესწავლა ეს საკითხი და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მიეცა ფაქტისთვის, რომ მათ მიმართ განხორციელდა პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლება. 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვსწავლობდით ამ საქმეს და კომიტეტმა უკვე დადო დასკვნა. ჩვენ დავადასტურეთ, რომ კოტე კუბლაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ განხორციელებულ დევნას. ეს არის ოფიციალური დასკვნა, რომელიც ჩვენმა კომიტეტმა უკვე დადო, ეს დასკვნა ამჟამად შემდგომი რეაგირების მიზნით წარდგენილია ბიუროსთვის. ბიურო დაუბრუნდება ამ საკითხს და, შესაბამისად, მსვლელობაც მიეცემა. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბიურო, მე ვერ გეტყვით. თუმცა, ვფიქრობ, რომ ძნელი გამოსაცნობი არაა, ამის გაგრძლება რა შეიძლება იყოს, მაგრამ დაველოდოთ როგორი იქნება ბიუროს გადაწყვეტილება“, — აცხადებს ეკა ბესელია.

მაშინ, როდესაც უმრავლესობა და, მათ შორის, უფლებადამცველები ღიად საუბრობენ, რომ ყველა უკანონო გადაწყვეტილებების უკან კოტე კუბლაშვილი იდგა, ამის მიუხედავად, ფაქტია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განთავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **ნინო გვენეტაძე** ამბობს, რომ იმპიჩმენტის დაწყების საკითხი საკმაოდ რთული პროცედურაა.

— სანამ კონკრეტული პიროვნებები არ იქნებიან ინიციატორები, საკითხის კონკრეტიზაცია არ დგება, ეს ძალიან ბევრ რამეს აფუჭებს და ცვლის. ამიტომ, ლალის გადაწყვეტილებაც ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მექანიზმია იმის პროვოცირების, რომ სხვა ადამიანებიც გააქტიურდნენ და სხვა ფაქტებზეც მოხდეს რეაგირება. რატომ არ დგას მისი განთავისუფლების, ან თუნდაც იმპიჩმენტის საკითხი, თუ ერთწლიან პერიოდს ვნახავთ, ვიცით, რომ ეს იყო კოჰაბიტაციის პერიოდი, ამ შემთხვევაში გასაგებიც არის, მაგრამ ახლა განსხვავებული ვითარებაა და ვნახოთ რა მოხდება. საბაბი შექმნილია, საფუძვლიანი იქნება თუ არა ლალის მოთხოვნები, ამას თვითონ პარლამენტი იტყვის“, — აღნიშნა ნინო გვენეტაძემ.

თამთა ქარჩავა

◎ კონფლიქტის ზონა

რუსი დიპლომატებისათვის ცხინვალის რეგიონი საშიშ ზონას არ წარმოადგენს

რუსეთის მთავრობამ ე.წ. სამხრეთ ოსეთი იმ ქვეყნების სიიდან ამოიღო, სადაც დიპლომატებისთვის მუშაობა რთულია. რუსული მედიის ინფორმაციით, საუბარია დოკუმენტზე, რომელიც ეხება დიპლომატების მუშაობას საგანგებო ვითარებაში და შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში.

დოკუმენტს შესწორებები შეაქვს ასეთ ქვეყნებში მომუშავე დიპლომატებისთვის დამატებითი გარანტიების შესახებ დადგენილებაში. დიპლომატიურ თანამშრომლებს ასეთ ქვეყნებში ხელფასის 40% დამატებით ერიცხებათ, ხოლო სტაჟის მხრივ ერთი დღის მუშაობა ორ დღედ ეთვლებათ. რუსეთის მთავრობის აღნიშნულ სიაში რჩებიან: ერაყი, ავღანეთი, იემენი, ლიბია, პალესტინა და სირია.

საქართველო რუსეთის ზენოლისა და ნნეხის მიუხედავად, რეფორმების გზას გააგრძელებს

განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ იუსტიციის სამინისტროში შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირებთან შეხვედრის შემდეგ.

როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, რუსეთმა და პუტინმა საქართველო გამოატარა ისეთ ტრაგედიას, როგორიც არის 2008 წლის ომი.

ინტერპრესი

◎ ალიან-ჩალიანი

ეპიდემიის გავრცელების საშიშროება არ არსებობს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ადასტურებს, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ბავშვთა სტაციონარებში საწოლების დეფიციტია, თუმცა, ირწმუნება, რომ მნიშვნელოვანი საშიშროება მოსალოდნელი არ არის.

როგორც სერგეენკომ აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას განაცხადა, უწყება ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს და უკვე შესწავლილი აქვს სავარაუდო მიზეზები, რას შეიძლებოდა ეს გამოეწვია.

— 15-17 დღის განმავლობაში მართლაც შეინიშნება საწოლების დეფიციტი ბავშვთა სტაციონარებში. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ჩართული ვართ ამაში, შესწავლილი გვაქვს სავარაუდო მიზეზები, რას შეიძლება ეს გამოეწვია — ავადობის პიკი მოდის ერთ წლამდე ასაკის ბავშვებზე. ლაბორატორიული ანალიზით არცერთხელ არ დადასტურდა ა-ჯგუფის ვირუსი, ასევე ჩვენ გვქონდა ანალიზი ჩატარებული იმ მიმართულებით, ხომ არ იყო ეს დაკავშირებული ბაღის ასაკის ბავშვებთან, აღმოჩნდა, რომ ამ მხრივაც ავადობა დაბალია, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისივე განმარტებით, სიტუაცია მთლიანად კონტროლდება და მნიშვნელოვანი საშიშროება მოსალოდნელი არ არის.

ჯილეხზე ვაქცინაცია დასრულებულია

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჯილეხის საწინააღმდეგო საშემოდგომო პროფილაქტიკური ვაქცინაცია დაასრულა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მაღალი რისკის ზონებში აცრა 152 586 ამთვისებელ შინაურ ცხოველს ჩაუტარდა, მათგან 121 193 — მსხვილფეხა, 30 761 — წვრილფეხა პირუტყვი და 632 ცხენია. ვაქცინაცია ჩატარდა 40 მუნიციპალიტეტში, 197 სოფელსა და დასახლებულ პუნქტში.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 8 ნოემბერს მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციის მეორე ეტაპი. წინასწარი ინფორმაციით, ვაქცინირებულია 275 266 ამთვისებელი ცხოველი, მათ შორის, 202 836 მსხვილფეხა და 72 430 წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი.

ცოფის საწინააღმდეგო კვირეულის ფარგლებში აიცრა 62 098 ათასი ძაღლი და კატა, მაგრამ ეპიზოოტიური სიტუაციიდან გამომდინარე, პროფილაქტიკური ღონისძიებები 41 რაიონში გაგრძელდა. დამატებით აიცრა 12 709 შინაური, ხორცის მჭამელი ცხოველი (ძაღლი, კატა).

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისში ევრომაიდნის მხარდაჭერის აქცია გაიმართა

თბილისის ცენტრში კიევში მიმდინარე აქციების მხარდასაჭერად რამდენიმე ასეული კაცი გამოვიდა. რუსთაველის პროსპექტზე პარლამენტის ყოფილი შენობის წინ მომიტინგეებმა ააფრიალეს უკრაინისა და საქართველოს დროშები, პლაკატები — „უკრაინა — ეს ევროპაა“ და „შეაჩერეთ მოსკოვი“.

სწორედ რუსეთის მოქმედებები, აქციის ბევრი მონაწილის აზრით, გახდა კიევის უარის მიზეზი, ხელი მოეწერა წინასწარი შეთანხმებისთვის ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულებაზე.

შეკრებილებმა იმღერეს უკრაინის ჰიმნი და გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს უკრაინას“.

აქციაზე მოსულთა შორის შეიძლებოდა შეგენიშნა რამდენიმე ქართველი დეპუტატიც მიხეილ სააკაშვილის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

აქციას ასევე ესწრებოდა პოლონეთის პარლამენტის დეპუტატი მალგოჟატა გოშიევსკა, რომელიც ამჟამად საქართველოში იმყოფება.

რუსთაველის პროსპექტზე გამოსულმა ხალხმა სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელებს, რომლებიც მხარს უჭერენ ევროპულ ინტეგრაციას, და დაგმეს ძალის გამოყენება კიევში პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ.

„მე მოვედი აქციაზე, რათა მეჩვენებინა, რომ ევროპაში ინტეგრაციისთვის მისწრაფება არ არის რაიმე ეფემერული პოლიტიკური მცნება, არამედ ეს არის თვით ხალხის სურვილი, და ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინელების ამ მისწრაფებას“, — განუცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ბი-ბი-სის რუსულ სამსახურს.

დასავლეთის „საიმედო პარტნიორი“

საქართველომ, უკრაინისგან განსხვავებით, ხელი მოაწერა წინასწარ შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ვილნიუსში 28-29 ნოემბერს გამართულ აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამის სამიტზე.

ამას გარდა, ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მონაწილეობის შესახებ ევროკავშირის ანტიკრიზისულ ოპერაციებში. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა სიტყვებით, თბილისმა უკვე მიიღო მიწვევა მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში აღმოსავლეთ აფრიკაში, მალიში და ლიბიაში.

ვილნიუსში სამიტზე გამოსვლის დროს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს სურს გახდეს „ლიდერი ევროპაში ინტეგრაციის დარგში“. პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი აღნიშნა, რომ უკრაინის უარი, ხელი მოაწეროს შეთანხმებას, არა მხოლოდ არ მიაყენებს ზიანს, არამედ პირიქით, დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში.

ამ აზრს ეთანხმება ექსპერტი გია ნოდიაც, რომელიც ასევე მივიდა მიტინგზე თბილისში უკრაინის მხარდასაჭერად.

ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბარში ნოდიამ აღნიშნა, რომ კიევის უარის ფონზე თბილისი წარმოჩინდება დასავლეთში, როგორც „საიმედო პარტნიორი“, რომელიც არ ღალატობს თავის პროევროპულ პოლიტიკას.

თბილისში ელოდებიან, რომ ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ საბოლოო შეთანხმება შეიძლება ხელმოწერილი იქნეს უკვე 2014 წლის შემოდგომაზე.

BBC RUSSIAN.com

როგორ დაკარგა ევროკავშირმა უკრაინა

რუსეთმა მორიგი გეოპოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა: მან შეძლო უკრაინის და ევროკავშირის დაშორება. და ეს იმ დროს, როდესაც შეთანხმების ხელმოწერას თითქოს ვერაფერი ვეღარ დაუდგებოდა წინ. ევროპარლამენტის მრჩეველი ჯონატან გერო-პინე იმაზე წერს, თუ რამ შეცვალა ძალთა თანაფარდობა და როგორ შეაბრუნა სიტუაცია თავის სასარგებლოდ ვლადიმერ პუტინმა.

ხუთშაბათს უკრაინამ განაცხადა, რომ შეაჩერა მოლაპარაკება სავაჭრო შეთანხმებაზე ევროკავშირთან, რითაც დიდი სილა გააწნა ევროპულ დიპლომატიას.

ეს გასაოცარი გადაწყვეტილება, რომელიც კიევმა ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების ხელმოწერამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე მიიღო, რუსებს და ევროპელებს შორის უკრაინისათვის ბრძოლაში მორიგ რაუნდად იქცა. ამ ფაქტმა ხაზი გაუსვა ევროპის მიდგომის შეზღუდულობას (კერძოდ იმას, რომ მათ არ იციან როგორ მოერგონ ამ ქვეყნის რეალიებს) და რუსეთის „უხეში ძალის“ ტრიუმფს.

უიღბლო დასაწყისი

თავდაპირველად მოვლენები რუსეთის სასარგებლოდ არ ვითარდებოდა. ამიტომ დღეს კრემლში ამოისუნთქეს, რაც იოლად იკითხება მისი ლიდერების სახეებზე, მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი საბჭოთა გულცივობისა.

საქმე ის არის, რომ უკრაინის დაკარგვა რუსეთისთვის პუტინის ეპოქის ყველაზე სერიოზული დიპლომატიური დარტყმა იქნებოდა და ამით დადასტურდებოდა ამ ქვეყნის ყველაზე გასაოცარი უნარი, კერძოდ ის, რომ საკუთარი ისტორიის ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტებში ის თავად ესროდა ტყვიას საკუთარ თავს.

ოთხ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან (მოლდოვა, უკრაინა, საქართველო, სომხეთი) ასოციირების შეთანხმების, ბაზრების გახსნის და ევროპულ პროგრამებში მონაწილეობის სახით ევროკავშირთან დაახლოებაზე პასუხად, მოსკოვმა ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ თავისი მეზობლების დაშინება და დაშანტაჟება დაეწყო.

სომხეთის შემთხვევაში ყველაფერი იოლად გამოვიდა. რუსეთმა შეიარაღებასთან დაკავშირებულ მხოლოდ რამდენიმე კონტრაქტს მოაწერა ხელი ერევნის მოსისხლე მტერ აზერბაიჯანთან, რომელიც დღემდე ვერ ეგუება კავკასიის მთებში ჩაკარგული მთიანი ყარაბახის დაკარგვას. შედეგად, ერევანმა უარი თქვა ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებაზე რუსული პროექტის „საბაჟო კავშირის“ სასარგებლოდ.

პუტინმა ძალთა თანაფარდობა შეცვალა

ეს უნდა იქცეს პირველ საგანგაშო სიგნალად იმისა, რომ ძველი კეთილი რუსული დიპლომატია, რომელიც ტრადიციულად უხეშ ძალას ეფუძნება, დღემდე შესანიშნავად მუშაობს. იმ მომენტში შეიძლება გვეფიქრა: „არა უშავს, სომხეთი კარგია, მაგრამ ის შორსაა, თან მოლდოვური კონიაკი სომხურს მაინც ჯობს“.

თავდაპირველად პუტინი უკრაინის დღევანდელ პრეზიდენტს ისე ექცეოდა, როგორც ვულგარულ მეყვავილეს, სამ საათს ალოდინა იგი ყირიმში შეხვედრის დროს (რუსეთის ლიდერი ამ დროს თავის მეგობარ-ბაიკერებთან ერთად ერთობოდა). ბოლოს, იმისთვის, რომ ეჩვენებინა უკრაინელებისთვის, თუ როგორ ჰყავს ისინი გამოჭერილი, მან წარუდგინა მათ 7-მილიარდიანი გაზის ძველი ანგარიში სწორედ იმ მომენტში, როდესაც კიევი Shell-თან ფიქლის გაზის მოპოვების პროექტს განიხილავდა.

შემდეგ, მან დროებით დახურა რუსული საზღვარი უკრინული საქონლისათვის. გარდა ამისა, იმ შემთხვევისთვის, თუკი უკრაინელებმა რამე ვერ გაიგეს, რუსეთმა მოულოდნელად დაიწყო სამხედრო წვრთნები საზღვართან, შეახსენა კიევს, რომ იქაური შესანიშნავი ველები ვერ გახდებოდა დაბრკოლება T-90-სთვის.

ევროკავშირისთვის ეს ყველაფერი მოულოდნელ სიხარულად იქცა: ზემოქმედების კლასიკურმა რუსულმა ტაქტიკამ მხოლოდ უბიძგა კიევს ევროპული წინადადების მიღებისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტაქტიკა საპირისპირო შედეგზე იყო გათვლილი.

შესანიშნავი სურათი

ევროკავშირი დათანხმდა, რომ შეთანხმებას ხელს მოაწერდა მის მიერ წამოყენებული დემოკრატიული პირობების დაცვის გარეშე. იმავდროულად, ის შეეცადა სახის შენარჩუნებას და იულია ტიმოშენკოს გათავისუფლებას წარმოადგენდა უკრაინისთვის სამართლებრივი სახელმწიფოს წინსვლის ნიშნად. მართლაც, ოპოზიციონერის გათავისუფლება პოლიტიკურ სივრცეში, სადაც მტრის სისხლი სწყურიათ როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით, იოლად შეიძლება მიჩნეულიყო დიპლომატიურ წარმატებად.

სურათი თითქმის ისეთივე მშვენიერი იყო, როგორიც Femen-ის აჯანყებული აქტივისტი. ამიტომ, ენთუზიაზმით სავსემ, მივიჩნიე, რომ, ბოლოს და ბოლოს, შევძლებდი ჩემი მეგობარი გოგონას რუსული ნაციონალიზმის კუდზე ფეხის დაბიჯებას. კრემლის მეპატრონეებმა ქვეყანას უმძიმესი ზიანი მიაყენეს, იმაზე საშინელი, ვიდრე ელოდა ბოლკონსკის „ომსა და მშვიდობაში“: უკრაინის ევროკავშირში გადასვლა.

კიევის დაკარგვა

უკრაინის დაკარგვა რუსეთისთვის იქნებოდა მისი ცივილიზაციის, კიევის რუსეთის — პირველი სლავური სახელმწიფოს და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საყრდენის დაკარგვა.

ქვეყნის ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელსაც რუსეთში ოდესღაც მცირე რუსეთს ეძახდნენ, ევროპელმა დიპლომატებმა უკეთეს შემთხვევაში ვერ გააცნობიერეს, უარესში კი უბრალოდ არაფრად ჩააგდეს. საქმე ის არის, რომ უკრაინა 45-მილიონიანი ბაზარია, კვალიფიციური და განათლებული მუშახელით, ის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული აუზი იყო ყოფილი სსრ კავშირისთვის და ძალიან ნაყოფიერი მიწების ერთობლიობა.

ამიტომ უკრაინის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია დიდი მოულოდნელობა არ უნდა ყოფილიყო. ცხადია, რომ ასეთი გრანდიოზული გარდაქმნებისათვის რეგიონში საჭირო იყო რაღაც გაცილებით მეტი, ვიდრე უკრაინის ევროკავშირში შესაძლო გაწევრებაზე დაპირება, ევროკავშირში, რომელსაც თავადაც რთული დღეები უდგას.

გასულ ხუთშაბათს რუსებმა დაგვანახეს, რომ ეხერხებათ ფიქრი და ახალ გარემოებებთან ადაპტირება. უკრაინელები კი, თავის მხრივ, ძალიან გაქნილები აღმოჩნდნენ და შესანიშნავად იციან ის, თუ როგორ გაზარდონ საკუთარი თავის ფასი. ევროკავშირმა კი იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ მას არანაირი საგარეო პოლიტიკა აქ აქვს.

ჯონატან გერო-პინე,
„leplus.nouvelobs.com“

დედამიწის ზურგზე

ალყაშემორტყმულ რადაში მთავრობის გადადგომას განიხილავენ, ექსპერტები კი მკითხაობენ — შეინარჩუნებს პოსტს იანუკოვიჩი?

მინისტრთა კაბინეტის წასვლას დაჟინებით მოითხოვენ საპროტესტო აქციის მონაწილეები, რომლებმაც ალყა შემოარტყეს პარლამენტის შენობას. სად მიგვიყვანს მგზნებარე დისკუსიები პარლამენტში, ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ რადის ვიცე-სპიკერმა რუსლან კოშულინსკიმ განაცხადა, რომ ოპოზიციას უკვე აქვს ხმების სათანადო ოდენობა, რომ ხმა მისცენ მთავრობის გადადგომას.

ამ დროს უკრაინაში მასობრივი პროტესტების ფონზე იანუკოვიჩი ჩინეთს გაემგზავრა. ვიზიტის დროს ვიქტორ იანუკოვიჩი მოლაპარაკებას გამართავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინპინთან და შეხვდება სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ლი კეციანს, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს ბიზნესფორუმში. ვიზიტის პროგრამა ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკურია, საკვანძო თემაა კიევისა და პეკინის ურთიერთობანი.

* * *

ჩინეთში ნავთობსადენის აფეთქების მსხვერპლთა რიცხვი 62 კაცამდე გაიზარდა

გამოძიებამ აჩვენა ცინდაოში მილსადენის დაპროექტებაში დაშვებული სტრატეგიული შეცდომები და გადაწყდა, იგი სამუდამოდ დახურონ. 7 კაცი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან აფეთქებისთვის, დაპატიმრებულია. 136 დაზარალებული საავადმყოფოში რჩება.

* * *

ტაილანდის ხელისუფლებამ ოპოზიციას გზა გაუხსნა მთავრობის სახლისკენ და პოლიციის შტაბ-ბინისკენ

ასეთი გადაწყვეტილება გამოიწვია ტაივანის ხელისუფლების სურვილმა შეწყვიტოს გამწვავებული კონფრონტაცია, რომელმაც წინა დღით 100-ზე მეტი კაცის დაჭრა და 4 ოპოზიციონერის დაღუპვა გამოიწვია. როდესაც გადაწყვეტილების შესახებ გაიგეს, მოპროტესტეებმა უმალვე გამოაცხადეს თავისი გამარჯვების შესახებ, თუმცა, ხელისუფლება წაგებულ მხარედ თავს არ მიიჩნევს. კონფლიქტში შეიძლება არმია ჩაერთოს.

* * *

ნიუ-იორკში ავარიაში მოხვედრილი მატარებლის მემანქანემ სამჯერ გადაბაძარბა სიჩქარეს

კატასტროფამ ბრონქსში ექსპერტებს ესპანეთში მატარებლის ავარია მოაგონა, როდესაც მემანქანემ მნიშვნელოვნად გადააჭარბა სიჩქარეს ტელეფონით საუბრით გატაცებულმა. ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა არ შეწყვიტა გოლფის პარტიის თამაში, რომ ავარიის ადგილზე მისულიყო.

◎ წარდგინება



გამოვიდა ენციკლოპედია „საქართველოს“ მე-2 ტომი

მართალია, მთელი 15 წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოვიდა ენციკლოპედია „საქართველოს“ მე-2 ტომი, რაც ძალიან სასიხარულო ფაქტია. პირველი ტომი მე-20 საუკუნის მიწურულს გამოსცეს, რა თქმა უნდა, წიგნი არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან. ათწლეულზე მეტი — დიდი დროა ინფორმაციის გასამდიდრებლად, რადგან მსოფლიო ელვის სისწრაფით იცვლება და ივსება...

გასულ კვირას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში ენციკლოპედია „სადქართველოს“ მე-2 ტომის და მისი ელექტრონული ვერსიის წარდგინება გაიმართა. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ უდიდესი შრომის ფასად ამჯერად თითქმის უზადო და სრულყოფილი გამოცემა შესთავაზა დაინტერესებულ საზოგადოებას. ენციკლოპედია მკითხველს აწვდის მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოსა და ქართველებზე, ყველა იმ მნიშვნელოვან ფაქტსა და მოვლენაზე, რამაც ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე. გამოცემაში შესულია მეცნიერების ყველა დარგი (ისტორია, არქეოლოგია, ეკონომიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკა, ხელოვნება, ქართული ემიგრანტული პრესა და სხვა). ტერმინები შესულია „გიმნაზიიდან“ „ენდროს“ ჩათვლით. წიგნი ილუსტრირებულია ფერადი ფოტომასალით. შრიფტი გაცილებით თვალსაჩინო და ადვილად წასაკითხია პირველი ტომისგან განსხვავებით.

ენციკლოპედიაში წარმოდგენილ მეცნიერების თითოეულ დარგს სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელები უწევენ კონსულტაციებს, მთავარი რედაქტორის — პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ზურაბ აბაშიძის თაოსნობით. წიგნის წინამდებარე ტომი მეცნიერებათა აკადემიის მიერ არის დაფინანსებული და 23 ლარი ღირს, რაც წიგნის თვითღირებულებაა.

ენციკლოპედიის ელექტრონული ვერსია თავისი საძიებო სისტემით ინტერნეტ-მომხმარებელს გაუადვილებს წიგნით სარგებლობას, ვებ-გვერდზე: science.org.ge\encyclopedia.

„ორი წელიწადი ვიმუშავეთ მეორე ტომზე — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ, — სავარაუდოდ, წელიწადნახევარში მესამე ტომი გამოვა. დაგეგმილი გვაქვს 5 ან 6 ტომის გამოცემა და ბოლოს, გამოვუშვებთ სპეციალურ ტომს, რომელიც იქნება პირველი ტომის დაზუსტება...

როგორც აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** თქვა, — **„ეს არის ჭეშმარიტი ენციკლოპედია, ბრწყინვალე გამოცემა, სადაც კარგად ჩანს თავად საქართველოს დამოკიდებულება სხვადასხვა საერთაშორისო საკითხის მიმართ“.**

საინტერესოა, რომ საქართველო არ არის განებივრებული ასეთი ღირსშესანიშნავი ნაშრომების გამოქვეყნებით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო ენციკლოპედიაზე მუშაობა სიმონ ყაუხჩიშვილმა, მაგრამ მაშინ ქაღალდის პრობლემის გამო ვერ მოხერხდა გამოცემა. შემდეგ 60-იან წლებში პოეტ ირაკლი აბაშიძეს უთხოვია მაშინდელი მთავრობისთვის ეპციკლოპედიის გამოცემა და 1975 წელს გამოვიდა კიდეც „ქართული საბჭოთა ეპციკლოპედიის“ პირველი ტომი. ამ ენციკლოპედიაში 25 პროცენტი ქართული მასალა იყო, 70 პროცენტი — არაქართული, დანარჩენი კი უნივერსალური მნიშვნელობის ინფორმაციას შეიცავდა, ამიტომაც აიღო ტომების სრულმა კომპლექტმა გრან-პრი წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე.

იქიდან მოყოლებული, დღემდე შეინარჩუნეს ენციკლოპედიის ბრწყინვალე და მნიშვნელოვანი რედაქცია პიროვნებებმა, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ ენციკლოპედიის გამოცემის მნიშვნელობა. განსაკუთრებით მძიმე იყო 2004-2005 წლები, როდესაც რედაქცია შენობის გარეშე დატოვა ხელისუფლებამ, თუმცა, ის ეროვნულმა აკადემიამ შეიფარა. ამ და კიდევ სხვა ობიექტურ მიზეზთა გამო დაიგვიანა ენციკლოპედიის მე-2 ტომმა, თუმცა, ერთის მხრივ, ეს კარგიცაა, რადგან ინტერნეტის ეპოქაში თითოეული ინფორმაცია დაზუსტებული და ამომწურავია.

როგორც წიგნის პრეზენტაციისას აღნიშნეს, ენციკლოპედია „საქართველო“ ასე ვთქვათ, სასაჩუქრე გამოცემა არ არის (ამისთვის გაცილებით დახვეწილი და მაღალი ხარისხი იყო საჭირო, რაც წიგნის ღირებულებას გაზრდიდა). სამაგიეროდ, ის არის საჭირო წიგნი. როგორც ამბობენ, ენციკლოპედია ფუფუნების საგანია, მაგრამ რაც ერის თვითმყოფადობას განსაზღვრავს და ღირსებას ანიჭებს, ეს არის ეროვნული უნივერსიტეტი და... ეროვნული ენციკლოპედია. მადლობა უფალს, რომ საამაყოდ ორივე გვაქვს!

ნია ფიფია

◎ გამოფენა

გვიანი შემოდგომის ვერნისაჟი

ბოლო წლებში შექმნილი ნამუშევრებით წარსდგა თერთმეტი ქართველი შემოქმედი საზოგადოების წინაშე ნოემბრის მიწურულს გამოფენით „ზამთრის ვერნისაჟი — 2013“, რომელსაც თბილისის მირზა ფათალი ახუნდზადეს სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის სამხატვრო გალერეა „ახუნდოვ ჰაუსმა“ უმასპინძლა.

„ზამთრის ვერნისაჟი — 2013“, რომელზეც ექვსი მხატვრისა და ხუთი მოქანდაკის, მათ შორის, გია მარკოზიშვილის, ლანა თურმანიძის, თეიმურაზ დვალიშვილის, გია რევაზიშვილის, ხათუნა სონღულაშვილის, გენადი ზაქარაიას, ჯონი გოგაბერიშვილის, ირაკლი წულაძის, ნუგზარ მანჯაფარაშვილისა და ერეკლე წულაძის, მუზეუმის ორ დარბაზში გამოფენილი ტილოებისა და ქანდაკებების ვერნისაჟი, მისი არტ-დირექტორის **არჩილ ბეჟანიშვილის** თქმით, რიგით მეექვსეა, რომელიც ზაფხულში რეკონსტრუქციის გახნის შემდეგ მუზეუმში ეწყობა.

— გამოფენებისა და სხვა სახის ღონისძიებათა გამართვაში დიდ დახმარებას აზერბაიჯანული ნავთობკომპანია „სოკარის“ ხელმძღვანელობა გვიწევს, რის გამოც დიდ მადლობას მოვახსენებთ, — განაცხადა ექსკლუზიურ ინტერვიუში ბატონმა არჩილ ბეჟანიშვილმა. — სამომავლოდ ამ და სხვა სახის კიდევ მრავალი ღონისძიების მოწყობა გვაქვს გეგმაში, რის საუკეთესო საშუალება მუზეუმს გააჩნია.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო თქვენი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმართ, რომელიც მუზეუმის მოღვაწეობას სისტემატურად აშუქებს. ბიბლიოთეკის დარბაზში გვაქვს გამოფენილი მუზეუმის საქმიანობის ამსახველი მასალები, საპატიო ადგილი თქვენი ჟურნალისტების პუბლიკაციებს აქვს მიჩნეული. ყველა მათგანი საგანგებოდ თარგმნილია აზერბაიჯანულ ენაზე, ამდენად, მათი გაცნობა აზერბაიჯანიდან ჩამოსულ სტუმრებსაც შეუძლიათ. წლეულს აზერბაიჯანის მთავრობის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩვენი სტუმარი ბატონი ბიძინა ივანიშვილიც გახლდათ.

ქართველ შემოქმედთა გამოფენის გახსნას აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ელჩები, საელჩოების თანამშრომლები, ასევე თბილისელი მხატვრები, ხელოვნების მუშაკები, საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი გამოფენით სახვითი ხელოვნების ერთბაშად ამდენი ნიჭიერი შემოქმედის მიერ განვლილ გზაზე, თავისებურებაზე სრული წარმოდგენის შექმნა, მარტივი საქმე არ არის, მაგრამ, იმედია, რომ აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის კარი მათთვის, ასევე მათი კოლეგებისთვის, მუდამ ღია იქნება და საზოგადოებაც მათ უკეთ გაიცნობს.

ოთარ მერიშვილი,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ ალიან-ჩალიანი

ტურიზმმა ზამთრის სეზონი გახსნა

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ზამთრის კურორტების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბაკურიანსა და მესტიაში ზამთრის სეზონს სპორტულ-გასართობი ღონისძიებებით გახსნის.

როგორც ადმინისტრაციიდან იტყობინებიან, პროექტის განხორციელების ძირითადი მიზანია ბაკურიანისა და მესტიის, როგორც ზამთრის კურორტის პოპულარიზაცია შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე. ღონისძიებები მიმდინარე წლის 25-30 დეკემბრის შუალედში გაიმართება.

— ბაკურიანში დღის განმავლობაში მუსიკალური გაფორმების ფონზე სხვადასხვა სახის მხიარული შეჯიბრებები გაიმართება, მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეეძლება, ადგილზე წინასწარი რეგისტრაციის საშუალებით. გამარჯვებულებს ტურიზმის ადმინისტრაცია დაჯილდოებს. საღამოს ბოლოს დეკორაციით მორთულ ტერიტორიაზე გამოიყოფა სპეციალური სივრცე, სადაც ბარმენები გლინტვეინს მოამზადებენ და სტუმრებს გაუმასპინძლდებიან. დღის ბოლოს გაიმართება ნაძვის ხის სახალხო მორთვა, ღონისძიება ფოიერვერკით დასრულდება, — აცხადებენ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში.

მესტიაში ზამთრის სეზონის გახსნა კი ჰაწვალის პარკის ტერიტორიაზე გაიმართება. ღონისძიება დილით სამთო-სათხილამურო სპორტში სპორტსმენებს შორის შეჯიბრით დაიწყება, მოგვიანებით კი მოყვარულებს შორის შეჯიბრით გაგრძელდება.

ღონისძიების დასასრულისკენ გამარჯვებულები ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან სპეციალურად მომზადებული პრიზით დაჯილდოვდებიან. ჰაწვალის ტერიტორიაზე საღამოს მუსიკალური ჯგუფის კონცერტი გააფორმებს. დღის ბოლოს საჩვენებელ შოუს ჩირაღდნებით 40-მდე მოთხილამურე გამართავს.

ინტერპრესი

◎ რაგბი

განაახლეს და პირველი წრეც დაასრულეს

საძართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში გამოცხადებული ერთთვიანი შესვენება, რაც სანაკრებო ტესტმატჩებით იყო გამოწვეული, დამთავრდა. გასულ უქმეებზე უმაღლეს

ლიგაში მოასპარეზე გუნდებმა რეგულარული გათამაშების პირველი წრე დაასრულეს.

ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო საქართველოს ჩემპიონ თბილისის „ლელოსა“ და წინა წლის ფინალისტ „არმიის“ დაპირისპირება. გამარჯვების შემთხვევაში „ლელო“ საგრძნობლად განიმტკიცებდა ლიდერობას, არმიელებს კი შარშანდელი მარცხისთვის რევანში სწყუროდათ.

ამიტომაც ორთაბრძოლა პირველი წუთებიდანვე დაძაბულად წარიმართა, თუმცა, ინიციატივას ვერც ერთი მხარე ვერ დაეუფლა, რაშიც გუნდებს ძლიერი ქარიც უშლიდა ხელს. პირველი ნახევარი რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით — 0:0 დასრულდა. მეორე ტაიმში ვიცე-ჩემპიონები გააქტიურდნენ და 46-ე წუთზე საწადელსაც მიაღწიეს — ლელო გაგოშვილმა გაიტანა, ნუცუბიძემ კი ზუსტად გარდასახა — 7:0. ათიოდე წუთის შემდეგ ჩემპიონები მხოლოდ ქულით აგებდნენ შეხვედრას, მაგრამ მატჩში გარდატეხის შეტანა მაინც ვერ შეძლეს. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მასპიძლებმა ლელოელთა მორიგი შეცდომით ისარგებლეს და ანგარიშში სხვაობა 4 ქულამდე გაზარდეს, საბოლოოდ 16:12 გაიმარჯვეს და 26 ქულით მე-5 ადგილზე გადაინაცვლეს.

მეცხრე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია „აკადემიისა“ და ქუთაისის „აიას“ შეხვედრამაც, იმის მიუხედავად, რომ გუნდები ჩემპიონატში სხვადასხვა მიზანს ისახავენ: თბილისელები უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ზრუნავენ, რიონისპირელებს კი ჩემპიონობა აქვს დაგეგმილი.

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარ პაექრობაში მიილია — მეტოქეები საგრძნობი უპირატესობის მოპოვებას ვერ ახერხებდნენ. თუმცა, ტაიმის მიწურულამდე მასპინძლებმა სამი ჯარიმა გაიტანეს, რაზეც სტუმრებმა ორით უპასუხეს. შესვენების შემდეგ „აიას“ მორაგბეები გამოცოცხლდნენ, 46-ე წუთზე ყურაშვილმა ლელო გაიტანა და სინაურიძემ უნაკლოდ გარდასახა. ცოტა ხნის შემდეგ „აკადემიამ“ ქულათა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. 62-ე წუთზე ისევ ქუთაისელებმა იძალეს — ამჯერად მატკავამ და სინაურიძემ იყოჩაღეს. საბოლოოდ სტუმრებმა 23:17 გაიმარჯვეს და პირველი წრის შემდეგ 32 ქულით „ლოკომოტივთან“ ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ.

მე-9 ტურის დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დასრულდა: „ხარები“-„არმაზი“ 10:12, ბათუმი-„ჯიქები“ 17:22, „ყოჩები“-„ლოკომოტივი“ 19:20.

ლექსო ცინცაძე

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
1. ლელო	9	7	0	2	(111	33
2. ლოკომ.	9	7	0	2	(57	32
3. აია	9	7	0	2	(74	32
4. არმაზი	9	6	0	3	-2	26
5. არმია	9	5	1	3	(64	26
6. ჯიქები	9	4	2	3	(56	24
7. ყოჩები	9	4	1	4	(25	22
8. ხარები	9	1	0	8	-110	7
9. აკადემია	9	1	0	8	-127	7
10. ბათუმი	9	1	0	8	-148	6

◎ ჩოგბურთი

მარეი „წლის შოტლანდიელია“

რეიტინგსიის მეოთხე ნომერი, „უიმბლდონ-2013“-ის ჩემპიონი ენდი მარეი სამშობლოში ერთბაშად 2 ნომინაციის გამარჯვებული გახდა. 26 წლის დანბლეინელი შოტლანდიის წლის ადამიანთა შორის პირველ საფეხურზე დააყენეს. ამასთან, ენდი ჰაილენდერთა სეზონის საუკეთესო სპორტსმენადაც დაასახელეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სპორტსმენი „წლის შოტლანდიელად“ უკანასკნელად ნ წლის წინათ დაასახელეს. 2008-ში ეს პატივი წილად ველომრბოლ კრის ჰოის ხვდა, რომელმაც ოლიმპიადაზე ოქროს სამი მედალი მოიპოვა.

მარეის რაც შეეხება, უიმბლდონისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ინგლისელმა მოზარდებმა „ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენ-ვარსკვლავად“ დაასახელეს, ბავშვებთან შეხვედრისას კი ენდიმ განაცხადა, ტრავმის მიუხედავად, კარგი სეზონი მქონდა და ვიმედოვნებ, მომავალ წელს კიდევ უფრო უკეთ ვიასპარეზებო.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მხარე

წყალბურთის ზეიმი ქუთაისში

ამ დღეებში ქუთაისში ჩატარდა შეჯიბრი ქალაქის თასზე ახალგაზრდებს შორის, რომელშიც გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ქუთაისის, თბილისის, რუსთავის, საჩხერისა და ბათუმის გუნდები.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტურნირი ასეთი წარმომადგენლობითი არასოდეს ყოფილა, რაც ალბათ, ახალგაზრდების საწყალოსნო სპორტისადმი გაზრდილ ინტერესზე მიუთითებს. მაყურებელს ვერ იტევდა ქუთაისის „ლაგუნას“ დარბაზიც.

გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს თბილისისა და ქუთაისის ახალგაზრდული გუნდები დაუპირისპირდნენ და გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

შეჯიბრს ესწრებოდნენ საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელები და ცნობილი წყალბურთელები. გამარჯვებულები ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ დააჯილდოვა, რომელმაც აღნიშნა, რომ მომავალში ტურნირს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ფალკაო კვლავ უქმობს

„მონაკოს“ ტრავმირებული ვარსკვლავი რადამელ ფალკაო აღდგენით პროცესს განაგრძობს და როდის დაუბრუნდება მოედანს, უცნობია.

ბარძაყის ტრავმის გამო კოლუმბიელმა „ნანტთან“ მატჩი გამოტოვა და იყო ვარაუდი, რომ თავდამსხმელი თავის გუნდს უახლოეს მატჩშივე დაუბრუნდებოდა. ექიმთა პროგნოზი არ გამართლდა — ფალკაოს ტკივილები კვლავ აწუხებს და ვერ ვარჯიშობს.

უახლოეს პერიოდში სამხრეთამერიკელს კიდევ ერთი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდება და გამოჯანმრთელების ვადებიც ცნობილი გახდება.

გიორგი ზოთაძე

◎ ერიჰა!

კრივი, კოკაინი, მარიხუანა და... სხვისი შარდი...

როგორც უკვე გაუწყეთ, ამერიკული კრივის ლეგენდამ მაიკ ტაისონმა განაცხადა, რომ ყველა ორთაბრძოლის წინ კოკაინს ყნოსავდა და მარიხუანას ეწეოდა.

გარდა ამისა, მისივე თქმით, რეგულარულად იყენებდა სხვისი შარდით სავსე ხელოვნურ პენისს დოპინგ-კონტროლის ჩამტარებელთა მოსატყუებლად!

ამ სასაცილო-სატირალ ამბავს კომენტარი მძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, რუსეთელმა მოკრივემ ნიკოლაი ვალუევმა გაუკეთა.

— თავშივე ვიტყვი: პირადად მე, დოპინგის საკითხში სუფთა ვარ, თუმცა კი, სიმართლე გითხრათ, ხშირად მსმენია მოკრივეთა შესახებ, ვინც რინგზე გასვლამდე ნარკოტიკებს იღებდა, — ამბობს ნიკოლაი ვალუევი. — საქმე ისაა, რომ კოკაინის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოკრივე ჰიპერაღგზნებულ მდგომარეობაშია, ენერგეტიკა, რომ იტყვიან, სხეულში არ ეტევა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დროს სპორტსმენს ტკივილის ზღვარი უქვეითდება, ამდენად, რინგზე დაგდება ძალიან ძნელი საქმეა. ეს იმავე რიგის მოვლენაა, როგორც მებრძოლ ძაღლებს მოსდით — მიუხედავად იმისა, რომ ძაღლი სისხლისგან იცლება და ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ ცოცხალიც ვერ გადარჩება, მაინც იბრძვის და მისი გაჩერება შეუძლებელია. სიტყვამ მოიტანა და იმასაც ვიტყვი, რომ ნარკომანი მოკრივეებიც საავადმყოფოებში სწორედ იმის გამო ხვდებიან, რომ მოწინააღმდეგის დარტყმების ძალას ვერ გრძნობენ.

საინტერესოა, შეუძლია თუ არა მოკრივეს იმის გაგება, „კაიფშია“ თუ არა რინგზე მისი მოწინააღმდეგე. როგორც ჩანს, არა, რადგან მისი თვალების გუგების გაფართოება-შევიწროების ხარისხის დასადგენად არც დრო აქვს, არც საშუალება, რინგზე მთავარია მოწინააღმდეგეს ურტყა, თორემ თავად იმდენს გირტყამენ, მეტი აღარ მოგინდება კაცს! ორთაბრძოლაში ამ „წვრილმანებისთვის“ არავის სცხელა. ამ ამბების შემჩნევა უფრო მწვრთნელს, ანდა მის დამხმარეთაგან რომელიმე თანაშემწეს უფრო შეუძლია.

— რაც შეეხება შარდის შეცვლის პრაქტიკას, ეს ცნობილი ამბავია, — განაგრძობს ნიკოლაი ვალუევი. — ამით ტაისონს „ამერიკა არ აღმოუჩენია“. საქმე ისაა, რომ ტაისონისდროინდელი ბრძოლებიდან გასული დროის შემდეგ დოპინგ-კონტროლი ძალიან გამკაცრდა.

ამჟამად მოკრივეს შეიძლება დედამიწის ნებისმიერ წერტილში, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მიადგნენ. ჰოდა, კაცმა როცა დანამდვილებით არ იცი როდის, სად და ვინ მოგადგება შესამოწმებლად, „სამამაძაღლოდ“ გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა გაქვს.

ირმა ირემაშვილი

◎ იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი ტელეფონი: 593359909

საქორწინო ხელშეკრულება

ჩვენი გაზეთის 20 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი იყო სტატია სათაურით „ოჯახის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები“, რომელსაც მრავალი მკითხველი გამოეხმაურა. ამჯერად, გვთხოვენ განვუმარტოთ, რას ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულება და სამართლებრივად როგორ წესრიგდება იგი. განსაკუთრებით იგრძნობა ახალგაზრდების ინტერესი ამ მიმართებით.

სიამოვნებით ვასრულებთ მათ თხოვნას და განვმარტავთ, რომ საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი სათავეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე იღებს. პირველი წერილობითი დოკუმენტი გვხვდება ძველ საბერძნეთში, რომსა და ეგვიპტეში. იმ დროს ქალი და მამაკაცი აფორმებდნენ შეთანხმებას, რომლითაც ადგენდნენ როგორც მათ შორის ქონებრივ ურთიერთობას, აგრეთვე ერთობლივად შეძენილი ქონების მემკვიდრეობის საკითხსაც. ასეთი რამ საძრახისად ან სამარცხვინოდ არ ითვლებოდა და მომავლის „დაზღვევა“ საკმაოდ გავრცელებული იყო. მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში, საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტის აღდგენა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ინგლისში, XIX საუკუნის ბოლომდე „საერთო სამართლის“ (Common Law) შესაბამისად, მეუღლეთა ქონება ქმრის საკუთრებად ითვლებოდა და ის ქონებაც კი, რომელსაც ცოლი ქორწინებამდე ფლობდა, ქმრის საკუთრებაში გადადიოდა.

1882 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „გათხოვილი ქალების ქონების შესახებ“. კანონის თანახმად, გათხოვილ ქალებს მიეცათ უფლება გაეფორმებინათ ხელშეკრულებები ქონებაზე, მემკვიდრეობით გადაეცათ იგი და სხვა. ეს იყო პირველი მცდელობა მეუღლე ქალბატონების ქონების კანონის ძალით დაცვისათვის. საგულისხმოა ის გარემოება, რომ, როგორც ძველი დროის საქორწინო ხელშეკრულების დიდი უმრავლესობა, ისე დღეისათვის ბევრ ქვეყანაში მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა, უშვებს შეთანხმებას როგორც მეუღლეთა ქონებრივ, ისე პირად უფლება-მოვალეობებზე.

1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი, თუმცა, იქვე აკრძალა მისი მეშვეობით მეუღლეთა პირადი უფლებების დარეგულირება, რაც სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მხოლოდ სიყვარულზე, ნებაყოფლობითობაზე და ნდობაზე დაფუძნებული ქორწინება შეიძლება იყოს მტკიცე და ხანგრძლივი. ხელშეკრულების გაფორმებისას მეუღლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეცვალონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგიერთი ნორმა და ქონებრივი უფლება-მოვალეობები გადაწყვიტონ საკუთარი შეხედულებისამებრ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედი კანონის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულება ითვალისწინებს მეუღლეთა შორის შეთანხმებას მხოლოდ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას; იგი შესაძლებელია დაიდოს ქორწინების რეგისტრაციამდეც, ხოლო ძალაში მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან შედის.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ხელშეკრულება გარკვეული ვადით ან უვადოდ შეიძლება დაიდოს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს შორისაც ნებისმიერ დროს, დაქორწინების ვადის მიუხედავად, მაგრამ აუცილებლად წერილობითი ფორმით და უნდა დადასტურდეს საზოგადო წესით.

ინდივიდუალური საკუთრება არის ქონება (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი), რომელიც მეუღლეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, ასევე ქონება, რომელიც მეუღლემ ქორწინების განმავლობაში მიიღო მემკვიდრეობით ან ჩუქებით; ამიტომ თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს მეორე მეუღლისგან დამოუკიდებლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს იმ ქონებას, რომელიც მის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს. ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება აგრეთვე, ის ნივთები, რომლებიც შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრებით, მაგრამ განკუთვნილია ერთ-ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისათვის. ასეთია მაგალითად: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ყელსაბამი, ბიჟუტერია, კოსმეტიკური ნივთები და სხვა.

კანონი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთებიდან გამორიცხავს ძვირფასეულობას. ძვირფასეულობას მიეკუთვნება ისეთი ნივთები, რომლებიც არაა აუცილებელი ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად: ძვირფასი ლითონებისა და იშვიათი ქვებისაგან დამზადებული საგნები, ანტიკვარული ნივთები და სხვა. აღნიშნულთან ერთად, კანონი ცალკე გამოყოფს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთებს, როგორიცაა: მუსიკოსისათვის მუსიკალური ინსტრუმენტები, ექიმისათვის საექიმო კაბინეტის მოწყობილობები, სპორტსმენისათვის სპორტული ინვენტარი და ა.შ. თანასაკუთრების გაყოფისას პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები, თუნდაც ისინი შეძენილი იყოს საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება, ხოლო მეორე მეუღლეს მიეცემა მათი საერთო ღირებულების ნახევარი ფულადი ანაზღაურების სახით.

სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცეული ქონება, საბანკო ანაბრები, აქციები და სხვა რაიმე ქონებრივი წილი, რომლებიც გახსნილია (შეძენილია) ქორწინების განმავლობაში, ასევე პროცენტები (დივიდენდები) მათზე, წარმოადგენს როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე განქორწინების შემთხვევაშიც იმ მეუღლის საკუთრებას, რომლის სახელზეც არის გახსნილი (გაფორმებული) ეს ქონება. საბანკო პროცენტების და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის ცალკე შეთანხმება.

მნიშვნელოვანია, რომ საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ, შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი. მეუღლეებს შეუძლიათ, გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელსაც დაემატება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება) ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე. მეუღლეებს უფლება აქვთ საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ შემოსავლებში მონაწილეობის პირობები, თითოეულის მიერ საოჯახო ხარჯების გაწევის წესი და ქონება, რომელიც გადაეცემა თითოეულ მეუღლეს ქორწინების შეწყვეტისას.

კითხვა: შეიძლება თუ არა, საქორწინო ხელშეკრულება დაიდოს იმ ქონებაზე, რომელსაც მეუღლეები მომავალში შეიძენენ?

პასუხი: საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე.

საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ან ამა თუ იმ პირობების დადგომით. მეუღლეები უფლებამოსილნი არიან თავიანთვის დაადგინონ რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევების ან მათი ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს. მაგალითად, მიმდინარე შემოსავლები მომავალში იყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება, ხოლო სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება კი — განცალკევებული. ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ წილობრივი ხასიათი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე, მათ შორის საცხოვრებელ ფართობზე. მაგალითად, ხელშეკრულებაში მიუთითონ, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე ერთი მეუღლის წილი შეადგენს 1/4 ს, ხოლო მეორის — 3/4 ს. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თითოეული მათგანის მიერ შეძენილი ქონება შეადგენს მის ინდივიდუალურ საკუთრებას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი ტენორის ლუჩანო პავაროტის და მისი მეუღლის საქორწინო ხელშეკრულება (მათ ერთად იცხოვრეს 36 წლის მანძილზე), რომლის თანახმადაც თითოეულ მათგანს ინდივიდუალური საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება. მართალია, საქორწინო ხელშეკრულება იძლევა შესაძლებლობას მეუღლეებმა (ან დაქორწინებელმა პირებმა) თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია საქორწინო ხელშეკრულებით შეიცვალოს პირადი ქონებრივი ერთიანობის ხასიათი, კერძოდ, შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

კითხვა: რა ვადით შეიძლება დაიდოს საქორწინო ხელშეკრულება და უფლებას აძლევს თუ არა კანონი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს დადოს ასეთი ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციამდე?

პასუხი: საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით და ზოგჯერ დაუკავშირდეს გარკვეული პირობების არსებობას. მაგალითად, ხელშეკრულებით გაითვალისწინონ, რომ ბავშვის დაბადებამდე მათი ქონება იქნება განცალკავებული, ხოლო დაბადების შემდეგ — საერთო ან პირიქით. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

მოქმედი კანონის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისთანავე. თუმცა, შესაძლებელია იგი შეწყდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ნებისმიერ დროს.

კითხვა: შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულება შეწყდეს მეუღლის ცალმხრივი უარის შემთხვევაში?

პასუხი: არა, კანონი ამის შესაძლებლობას არ უშვებს და თვლის, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა ამ საფუძვლით დაუშვებელია.

საქორწინო ხელშეკრულების დადება კანონით სავალდებულო არ არის; შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ (როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს) მან ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებული დაინტერესება დღემდე ვერ ჰპოვა, მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ერთხმად აღიარებენ, რომ საქორწინო ხელშეკრულება სრულიად საკმარისი და ხელსაყრელი პირობაა მეუღლეთა შორის წარმოშობილი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად (განსაკუთრებით ქონებრივ და ფინანსურ ნაწილში). იგი ამსუბუქებს მეუღლეთა დამოკიდებულებას განქორწინებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი და მომაბეზრებელი სასამართლო პროცესების მიმართ.

აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მეუღლეთა საქორწინო ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული. გთხოვთ, კვლავ შეგვეხმიანოთ ზემოაღნიშნულ ტელეფონის ნომერზე და გვაცნობოთ, რომელი სამართლებრივი საკითხების განმარტება გსურთ და გპირდებით, დაუყოვნებლივ მასზე გადავიტანთ ყურადღებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი

ირინე მელიქიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ფასები

საახალწლოდ პროდუქტები არ გაძვირდება

როგორც ნოდარ ხადურმა განაცხადა, სახელმწიფო ფასების ზრდას არც საკვებზე და არც სხვა დანარჩენ პროდუქტებზე არ ელოდება. მისი თქმით, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში საქართველოში ინფლაცია საერთოდ არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება ლარის კურსს, მინისტრის განმარტებით, ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც ლარზე მოთხოვნა იზრდება, ლარი მყარდება, ხოლო როდესაც მოთხოვნა დოლარზე იზრდება, დოლარის ფასი იცვლება.

ნოდარ ხადურის განცხადებით, ამაში საპანიკო და საგანგაშო არაფერია.

ფინანსთა მინისტრი ირწმუნება, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია შესაბამისი რეზერვები, მათ შორის უცხოურ ვალუტაში, რათა კურსი არ იყოს „მხტომარე“.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;

599 32-85-76.

სს „თბილისის №1 ავეჯის სახლის“ აქციონერთა საყურადღებოდ

2013 წლის 13 დეკემბერს, ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №36-ში, 14 საათზე შედგება სს „თბილისის №1 ავეჯის სახლის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი: სს „თბილისის №1 ავეჯის სახლის“ იურიდიული მისამართის ცვლილება (დაზუსტება).

აქციონერებს აქვთ უფლება, შეამოწმონ კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სს „თბილისის №1 ავეჯის სახლს“.

სს „თბილისის №1 ავეჯის სახლის“
დირექტორი აპ. ბრეგვაძე

◎ ინფორმაცია

კორუფციის ინდექსით უარესობისკენ მიდის საქმე

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2013 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველო 177 ქვეყანას შორის 55-ე ადგილს იკავებს. საქართველოს მაჩვენებელი, გასულ წელთან შედარებით, ოთხი პუნქტით გაუარესდა.

საქართველომ 2013 წლის კვლევაში 100-ქულიან შკალაზე 55 ქულა მიიღო. კვლევაში ნული ნიშნავს ძალზე კორუმპირებულს, ხოლო 100 — ძალზე სუფთა საჯარო სექტორს.

კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2013 წელს დანიაში, ახალ ზელანდიაში, ფინეთსა და შვედეთში დაფიქსირდა. რეიტინგის ბოლოში არიან სომალი, ჩრდილოეთ კორეა, ავღანეთი და სუდანი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველომ 2012 წელს 51-ე ადგილი დაიკავა.

ინტერპრესი

◎ დღესასწაული

მარიამ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანა



4 დეკემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უდიდეს დღეს — ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანას; ...„ანგელოზთა რა იხილეს შესვლა ყოვლადწმინდისა, და უკვირდათ ვითარ ქალწული შევალს წმიდათა შორის წმიდათასა“.

...გადმოცემა მოგვითხრობს, რომ, როდესაც მარიამი 6 თვის გახდა, დედამ მიწაზე დასვა, სურდა გამოეცადა, შეძლებდა თუ არა ფეხზე დგომას. მან 7 ნაბიჯი გადადგა და კვლავ მასთან დაბრუნდა, მაშინ მართალმა ანამ ის ხელში აიტაცა და შესძახა: „ცხოველ არს ღმერთი ჩემი, შენ მიწას ფეხს არ დაიკარებ მანამ, სანამ უფლის ტაძარში არ მიხვალ“.

როდესაც მარიამს ერთი წელი შეუსრულდა, იოაკიმემ მოიწვია ღვთისმსახურები, მწიგნობრები და ნადიმი გადაიხადა. ამ შეკრებაზე მარიამი აუკრთხეს და „ყოველთა ტომთა ზედა“ დალოცეს.

ორი წლის მარიამისთვის ღმერთმა ინება მიჰმადლებოდა მას სიბრძნე, გული გონიერი და კეთილისმყოფელი განათლება.

როდესაც 3 წლის გახდა ნორჩი ქალწული — გადაწყდა ის იერუსალიმში წაეყვანათ. წმინდა ქალაქისკენ მას მიაცილებდა უამრავი ხალხი, სანთლებით ხელში, მოხუცებულ მშობლებთან ერთად. მათთან შესახვედრად ტაძრიდან გამოვიდა მღვდელმთავარი ზაქარია. კიბე, რომელიც 15 საფეხურისგან შედგებოდა, მარიამმა სხვის დაუხმარებლად და მხნედ აიარა, ხოლო მღვდელმთავარმა ზაქარიამ ის ტაძრის სიღრმეში, ე.წ. „წმიდათა წმიდაში“ შეიყვანა.

...მოხუცებულმა მშობლებმა ზეციური მამა ადიდეს და სახლში დაბრუნდნენ, ხოლო მათი ასული ქალწულთა სავანეში დადგენილი წესის მიხედვით ალიონზე დგებოდა, ლოცულობდა, წიგნებს (წმიდა) კითხულობდა, ხელსაქმობდა, სნეულებს ემსახურებოდა...

ტაძარში მარიამის ცხოვრების უშფოთველმა 9 წელმა სიხარულით ჩაიარა, მაგრამ მე-10 წელს, ამ ქვეყნად პირველი მწუხარება განიცადა: დაკარგა მოხუცი მშობლები.

მართალ მშობლებს ეკლესია მიიჩნევს „მშობელთა ღვთისათა“ და ყოველდღიურად მსახურების შემდეგ იოაკიმესა და ანას ლოცვით და ვედრებით უფლისგან ყველა მლოცველისთვის დახმარებას ითხოვს.

მარიამმა გადაწყვიტა დამორჩილებოდა ერთ ღმერთს, მან უფლის წინაშე აღთქმა დადო, რომ სამუდამოდ ქალწულებას დაიცავდა.

გიული ლიპარტია

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

◎ ინფორმაცია

აჭარაში ძლიერ წვიმას მეწყერი მოჰყვა

ათუმი-ახალციხის ცენტრალური მაგისტრალის ერთ-ერთ მონაკვეთზე ჩამოწოლილი მეწყრის შედეგად, მოძრაობა შეფერხდა.

როგორც აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა თურმანიძემ განაცხადა, მეწყერი ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეშიც ჩამოწვა. მისივე თქმით, ზვარეში მეწყერული პროცესის დროს მიკროავტობუსს ქვიშა დაეყარა, თუმცა, ამას ზარალი არ გამოუწვევია.

მამუკა თურმანიძის თქმით, ძლიერმა ქარმა ქობულეთში, თამარ მეფის გამზირზე ხე მოგლიჯა.

შავი ზღვის სანაპიროებზე 4-ბალიანი შტორმი ფიქსირდება და ქარის სიჩქარე მატულობს. დილიდან თოვდა აჭარის მაღალმთიან რაიონებში, ხულოსა და ხელვაჩაურში.

* * *

ძედაში, ბათუმი-ახალციხის გზის მონაკვეთის 41-ე კილომეტრზე მიკროავტობუსს ლოდი დაეცა. მიკროავტობუსში მსხდომი თურქეთის ორი მოქალაქე მრავლობითი მოტეხილობებით სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადამ ბათუმში გადაიყვანა.

როგორც აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომელმა დავით მამულაძემ განაუცხადა, ნახევარ ტონამდე ლოდის კლდიდან ჩამოვარდნა ძლიერმა წვიმამ და ქარმა გამოიწვია.

მიკროავტობუსი თურქულ კომპანიას „შუახევიჰესის“ მშენებლობაზე ემსახურებოდა.

ასევე, მეწყრული პროცესები განვითარდა კირნათის თემის, სოფელ შუშანეთში. როგორც შუშანეთში მცხოვრებმა ილია ცინცაძემ აცნობა, მისი სახლის მიმდებარედ მეწყერი ჩამოწვა და ხუთსულიანი ოჯახი საფრთხის ქვეშაა.

ინტერპრესი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

უკრაინის ოლქებში მკვეთრად შემცირდა დანაშაულის შემთხვევები, რადგან მთელი მილიცია კიევშია მობილიზებული..

* * *

— როგორ შეგეძლო, სახალხოდ გეწოდებინა ჩემთვის ქარაფშუტა? — უსაყვედურებს დაშა დაქალს.

— მაპატიე, შენ ხომ არ გაგიფრთხილებივარ, ამას რომ მალავდი?

* * *

პატარა ეშმაკობები: თუ მობილურზე ძალიან მნიშვნელოვან ზარს ელოდებით, იგი კი არა და არ რეკავს, ჩაიდეთ ტელეფონი ყველაზე ღრმა ჯიბეში, შეიკარით და კარგად გაისაპნეთ ხელები... ზარი პრაქტიკულად მყისიერად დაირეკება!

* * *

პეტკას ძალიან უნდოდა შოკოლადი, მაგრამ იგი ნატაშას დაუთმო, რადგან მას ნატაშა შოკოლადზე მეტად უნდოდა.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვარსებებთან

„ხელისუფლება გიგი უგულავას გაურიგდა“

— თვლის პარტია „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური მდივანი თენგიზ ომანიძე და ამის მაგალითად, პარლამენტიდან იმ კანონპროექტის გაწვევას ასახელებს, რომელიც მერის ცვლილებებს მნიშვნელოვნად ზღუდავს. კანონპროექტის თანახმად, დედაქალაქის მერს აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში თანამდებობის პირების გასათვისუფლებლად საკრებულოს თანხმობა დასჭირდებოდა, გარდა ამისა, კანონპროექტში ჩადებული იყო საკრებულოს მიერ თანამდებობის პირებისთვის უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი.

„ეს არის კიდევ ერთი სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო „ქართულმა ოცნებამ“. ნაცვლად იმისა, რომ გიგი უგულავა ციხეში იჯდეს, მის მიერ წლების მანძილზე ჩადენილი დანაშაულების გამო ხელისუფლება მას ხელ-ფეხს უხსნის“, — ამბობს თენგიზ ომანიძე.

„ახალი თაობა“

ანგარიშსწორების თუ მოწმის „გასაღების“ მცდელობა?

2 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის გია ლორთქიფანიძის საცხოვრებელ სახლთან ძლიერმოქმედი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს. ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ტერიტორია მალევე განაღმეს. ელექტრონულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ადამიანთა ჯგუფი ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის მიმართ ანგარიშსწორებას გეგმავდა.

„ალია“

შრომის ახალი კოდექსი ამოქმედდა და მოკვდა

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე თვეა შრომის ახალი კოდექსი მოქმედებს, დამსაქმებელი თავს დაცულად ისევ ვერ გრძნობს. მიზეზი მარტივია, არავინ აკონტროლებს, იცავს თუ არა დამსაქმებელი კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს. დასაქმებულს კი არ აქვს ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. შესაბამისად, ახალ კოდექსს დასაქმებულის მიმართ არსებული დისკრიმინაციული მდგომარეობა არ შეუცვლია.

„რეზონანსი“

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24